


სპორტიული

**40 000 ქომაგი
ტრიბუნაზე —
ქართულმა
კაბაშმა მანის
გაიმარჯვა**



**მიუზ მესხი: დიდი
ფეხბურთი რომ
ვერ ვითამაშებ,
KGB-ს ხელი
ურევინა**

3 ვახტანგ ბუიკაძე

**დინაო:
ქართული
ფეხბურთის
თავსატყვისი**

ერთ დროს მთელი საქართველოს გულთახეთქვის საგანი, ქართული ფეხბურთის უმთავრეს თავსატყვად ქცეულა

5 კობა ინასარიძე

**КГБ
მიხეილ ვესის
წინააღმდეგ**

— მიშა, ალაღად მითხარი...
— აბა, სხვანაირად როგორ ვითხრა?

9 სოლომონ გულისაშვილი

გიჟი გარბი

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა

11 ირაკლი ბაგჩრაძე

კვალი დარტყვა

ჭვინჭით მოჭრილი ზედა მესამედზე

12 ლაშა ჯაფარიძე

თეიმურაზ მუსხელიძე სურათი

საფეხბურთო ტაქტიკის ისტორია
წერილი პირველი

14 პაპუნა კეღია

**ყველაფერში
დაგნაგნაგნა
დაგნაგნაგნა**

ერიკ კანტონას ბოლო სეზონი

16 დავით გულუა

სსპადასსპა

ამბავი ქვაკაცისა და ქალთევზასი

18 გიო ახვლედიანი

გაე! გაე! გაე!

გრეპემას აზრების მხარდასაჭერად

20 სოსო კოტორეიშვილი

**ინგლისი: ავროპული
რაგბის ექსპრესია**

21 მირაზ რატიშვილი

**EXCLUSIVE
თეთრყურადანიანი
შავი კასის აგავი**

ინტერვიუ დევიდ რივერსთან

ბარეკანა

- I 22.03.2000. დინამო კიევი — ბაიერნი. დინამოელი გიორგი დემეტრაძე და სლავომირ ვოიცეხოვსკი
- II ჩემპიონთა ლიგა. როტერდამელი კის ვან ვონდერენი
- III *NBA*. 1998 წლის პლეი ოფი ჩიკაგო — ოუტა უტვენს ჩიკაგოელი მაიკლ ჯორდანი
- IV მიუნხენის „ბაიერნი“ 1999 წლის 26 მაისს



რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე
სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
ოპერატორი ნინო კედელაშვილი

მრჩეველთა საბჭო:
ვახტანგ ბუიკაძე, სოლომონ
გულისაშვილი, ავთანდილ
გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი,
ზურაბ მეძველია,
ზურაბ ფოცხვერია

რეკლამა შურნალ «სარბიელში» — 93 16 08

დინამო: ქართული ფეხბურთის თავსატეხი

მანანა ზუიკაძე

ჭიკაში წალი და... ქარიხალი

ჭიკაში წალი რომ გაანახევროთ და მერე ორ, სხვადასხვა ადამიანს ჰკითხოთ, რა ჰქვია ამას, ნახევრად სასუქს თუ ნახევრად ცარიელი ჭიკაო, თბტიმისტი ერთ მხარეს დაიჭერს, პესიმისტი — მეორეს. თუ კიდევ უფრო ღვთისპირიდან გავარდნილთ გადაეყარეთ, იქნებ ასეც მოვიგონ — მაგას სახელი არ აქვსო.

ხანდახან მართლაც ძალიან ძნელია საგნისთვის თუ მოვლენისთვის სახელის მოძებნა, მაგრამ უსახელოდ ამ ქვეყნად რა დარჩენილა.

იმას, რაც ამჟამად თბილისის „დინამოში“ ხდება, ჯერჯერობით სახელი არ დარჩევიდა. მსახურალი დროის უხილავმა ხელმა ჭიკა წყალივით გაანახევრა „დინამო“ და ამის შემხედვარენი დღე ერთია და, ათჯერ მაინც იკამათებენ.

ზოგს ასე სჯერა — ჩემპიონს თავმოსართმელი რომ მიუერთვა, საგანგაშო რაა, ასე ადრეც ყოფილა და ქვეყანა არ დაქცეულა, შეეცებულაო.

მეორენი კი ამ აზრს არ იზიარებენ, თავისაზე დგანან — ეს ნახევარი ნახევარი სულაც არაა, ქართული ფეხბურთის ეს ამღვრეული თავწყარო ადრე თუ გვიან დაიშრებაო.

ადრე თუ გვიან, სხვა თუ არაფერი მოხდა, მტყუნ-მართალი გაირკვევა. ყველაფერს თავისი დრო აქვს და რაკი იქამდე ჯერ კიდევ დარჩა, მოსამართლეობას ვერც ეს წერილი დაიბრალვებს და იკისრებს. მით უმეტეს, რომ ეს, რაც ვერ შეძლო საგადასახადო ინსაექციამ, პროკურატურამ, სასამართლომ და კიდევ ათასი ჯურის სახელმწიფო სტრუქტურამ, ძნელია, ალბათ შეუძლებელიც, ერთმა პუბლიკაციამ მოახერხოს.

ჩვენ მხოლოდ ეს შეგვიძლია, „დინამოს“ ყოველმხრივ შემოეუაროთ, შეიგნოთ თუ შევიხვლოთ და მის ყველა კუთხე-კუნჭულზე სათქმელი ვთქვათ. ეს იქნებ კიდევ წაადგეს ჩემპიონს, რადგან ვერავინ ხელაღვს საკუთარ თავს ისე კარგად, თუნდაც სარკეში, როგორც ამას სხვები ახერხებენ.

დავიწყით იმ უმარტივესი, მაგრამ უმნიშვნელოვანესი საკითხით, მარტის მიწურულს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას განცხადებით რომ ამოტივტივდა თითქოსდა დროებით დაწყნარებული მორევის ზედაპირზე.

როგორია „დინამოს“ იურიდიული სტატუსი?

— 1996 წლის მერე თბილისის „დინამოს“ იუსტიციის სამინისტროში ხელახალი რეგისტრაცია არ გაუკლია. კლუბი დღესდღეობით იურიდიული პირი არ არის. შეგვიძლია ჩათვალოთ, რომ ის გადაწვეტილებები, რომელსაც მე „დინამოს“ პრეზიდენტობისას ვიღებდი და რომან შოთაძე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებისას, უკანონოა — განაცხადა ფედერაციის ამჟამინდელმა და „დინამოს“ ექს-პრეზიდენტმა.

გაუგებარია, რისთვის დასჭირდა მერაბ ჟორდანიას ასეთი თვითგვემა, მაგრამ ფაქტია, „დინამოს“ (და არა მხოლოდ) წინააღმდეგ ღია ტექსტით გაილაშქრა.

— მამ საქართველოს უკანონო ჩემპიონი ჰყოლია — თავსდატეხილი ქარიშხლის ჭიკაში ჩანაბერად წარმოჩენა სცადა „დინამოს“ ახალმა გენერალურმა დირექტორმა ვაჟა ფვინამ.

ერთი სიტყვით, „დინამო“, ერთ დროს მიეღო საქართველოს გულთახეთქვის საგანი, ქართული ფეხბურთის უმთავრეს თავსატეხად ქცეულა.

ოჩხაქისუფლებიანოვა

ასეა თუ ისე, ეს ხანი „დინამო“ არსებობდა, თამაშობდა, ხელფას-პრემიას იხდიდა, ჩემპიონობდა, თასის მოგებასაც ზეიმობდა, მერე კი ევროთასების მონაწილე უცხოელ მეტოქეებს სტუმარ-მასპინძლობდა.

ამ ყველაფერს „დინამო“ მთლად ასე უკანონოდ ვერ შეძლებდა. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონს საკუთარი წეს-კანონი მაინც დასჭირდებოდა საარსებოდ.

გარდა შინგანაწესისა, „დინამოს“ საარსებო სახსარიც სჭირდებოდა და ერთი მათგანი, ვინც ამ სახსარს გაუჩენდა-ხელმე, კლუბის ამჟამინდელი პრეზიდენტი მერაბ რატიანი.

რატიანის პრეზიდენტობა კლუბის დირექტორატმა ახლახან დაკანონა, მაგრამ ბარემ 7-8 თვე იქნება, ეს ამბავი გადაწყვეტილიაო, ითქვა და ამას ისიც ადასტურებდა, რომ ბოლოსანს პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი რომან შოთაძე აღარ ჩანდა ძველ პოსტზე.

არადა, სწორედ შოთაძემ განაცხადა ამასწინათ განხმარებული აშვეთიას საკითხის თაობაზე, გუნდი წამყვანი თავდამსხმელისა და ბომბარდირის გარეშე რჩებოდა და რუსეთის საფეხბურთო კავშირს სწორედ მე გაუგებზენე ფაქსი, აშვეთია დისკვალიფიცირებულიაო.

და ეს მაშინ ხდება, როცა „დინამოს“ მიხეილ აშვეთიას სატრანსფერო თანხა უკვე აღებული და ხელფასებად გაცემულიც აქვს. „დინამომ“ თავისი გაიტანა, მიხეილ აშვეთია აღანიელა.

და გახსოვთ ოთარ კორღალიძის „დინამოს“ მწვრთნელად დანიშვნა? კორღალიძეს სანამ მართლა დანიშნავდნენ, ერთხე

დინამოელები ირავლი ვაჟაიძე და გიორგი გაშიაშვილი ბოროტდოვალ მიხეილ მახვილაძესთან ბრძოლისას

მადრიდის კამიონაზი



ლაც უთხრეს, „დინამოს“ უთავაკცებო. ვულცავდით, კაცი მილოცვებს იღებდა და მეორე დღეს უარი სტკიცეს.

მე ოთარს მოვუბოდიშე, გვითხრა მაშინ რომან შოთაძემ, ვილაცამ მწარედ იხუმრა. ვინ? ამას კორღალიძე დღემდე არ განგვ-
ლობია — მაშინ მისი მდგომარეობა გავი-
თვალისწინეთ და ზედმეტად არ შეგვიწუ-
ხებია.

ნამდვილად კი, პატარა ლევან ჟორდანი-
ას ნათლია ოთარ კორღალიძე მხოლოდ
ორი კვირის მერე ღანიშნეს „დინამოს“ მწ-
ვრთნელად, სადაც დღემდეა.

კიდევ იტყვის ვინმე, „დინამოში“ ორხე-
ლისუფლებიანობა არ ყოფილა? თქმა არა
(მისი ნებაა), ნათქვამის დადასტურება გა-
უჭირდება.

კორღალიძის ანტირაკორდი

ზევით კორღალიძე „დინამოს“ ამჟამი-
ნდელ მწვრთნელად მოვიხსენიეთ. ეს იმ
ვარაუდით, რომ მაშინ, როცა თქვენ ჟუ-
რნალ „სარბიელს“ წაიკითხავთ, ჩემპიონს
უგოლო ფრეების სახადი მოხდელი ექნება,
სამტრუდიის „იბერია“ კი დამარცხებული
ეყოლება.

გავიხსენოთ და ვთქვათ, რომ პოსტბოს-
კამპურმა „დინამომ“ ჩემპიონატის პირვე-
ლი ეტაპიც (ჯერ უკორღალიძეოდ და მერე
კორღალიძით) წარუმატებლად დაიწყო.

კარგი, მაშინ პოლანდიელი იოჰან ბო-
სკაჰის არეულ (ბევრია ასე მოფიქრალი)
გუნდს დაწყობა სჭირდებოდა, მაგრამ ახლა

ისე რამ დააძაბუნა ჩემპიონი, ოთხ თაძა-
შში ერთი ისეთის გატანაც რომ ვერ მო-
ახერხა, რომელზეც მსაჯეს მოედებოდა,
თამაშვარე არ იყო?

ცხადია, ალექსიდის და აშვეთიას დაკ-
ლება დაკლებაა, მაგრამ ეგებ მწვრთნე-
ლიც აკლებს რამეს?

„დინამომ“ სწორედ კორღალიძის ხე-
ლში დაამხო ყველა საკუთარი ანტირეკორ-
დი და ტური-ტურ ამყარებდა ახალ-
ახლებს.

არადა, ამ განახევრებულ ჩემპიონს თუ
ისევ ჩემპიონობა სურს, მისნაირი მოწაფე
კი არა, მცოდნე (ეგებ სასწაულომოქმედიც)
და გამოცდილი მწვრთნელი სჭირდება „ტო-
რედოსთან“, „ბათუმთან“ თუ „ვიტ ჯორ-
ჯიასთან“ ბრძოლის მოსაგებად.

ოთარ კორღალიძე ძალიან კარგი ფეხ-
ბურთელი იყო, მაგრამ ეს აუცილებლად
ძლიერ მწვრთნელობას არ ნიშნავს. ამის
მაგალითად ალექსანდრე ჩივაძე გამოდგე-
ბა: ეს დიდებული ფეხბურთელი, მწვრთნე-
ლობაშიც რომ არ ჰქონია ბევრზე ნაკლები
წარმატებანი, აგერ, ოთხი წელია, ამ სა-
ქმეს სრულიად შეეშვა.

კორღალიძემ დიდხანს ითამაშა ფეხბუ-
რთი და, მგონი, მოთამაშეობის ასაკიდან
ჯერაც ვერ გამოვიდა. მაგალითი გენბავთ?
თავად შევესწარი, გაკვირვებული დარჩა
თბილისის ნასტუმრები „ბათუმის“ იტალი-
ელი თავკაცი ჯანი კარნევალე, ნეტავ ვი-
ცოდეთ, რა დაუწავე ამ კაცს, რომ არც
მომსალმებიათ.

ეტყობა, ოთარს ჯერაც ჰგონია, რომ იმას,
რაც ახლა უკვე მან უნდა იტვირთოს,

სხვა, ვინმე მასზე ზევით მდგომი გააკე-
თებს. არადა ზევით ვინაა? ისაა გუნდის
თავკაცი.

ვინს არ უნდა იყო მანდ...

კორღალიძე იქნება თუ სხვა, „დინამოს“
მწვრთნელი ერთი დიდი პრობლემის წინა-
შე დადგება — ფეხბურთელთა არჩევანი
ერთობ მწირია.

ძნელი სათქმელია, ვის იმედადა კლუ-
ბი — კარიერაჩაღამართებული ფეხბურ-
თელებით შევსებული მოძმე „თბილისისა“
თუ მისი ფარმკლუბის, რომლის ბირთვი
შემოდგომაზე თბილისში გამართული 16-
წლამდელთა შესარჩევი ტურნირისას ვნა-
ხეთ და გულს შემოგვეყარა.

თაობათა ცვლის პროცესი „დინამოს“
ინფრასტრუქტურის ყველაზე გაუმართავი
ნაწილია. ადრე ამ პრობლემას სხვა ქართუ-
ლი კლუბების ხარჯზე ევლებოდა, მაგრამ
ახლა ისინი დონორობაზე უარს ამბობენ.

გასდა თუ არა პრეზიდენტი მერაბ რა-
ტიანი, განაცხადა — მორჩა, 3 წელიწადს
არავის გავეყიდით.

თუ „დინამო“ ამას მართლა მოახერხებს,
ეგებ კიდევ ეშველოს, თორემ რა დღეში
ჩააგლო „მილანის“ ფარმ-კლუბ კიევის „დი-
ნამოს“ ფარმ-კლუბ „ალანას“ ფარმკლუ-
ბობამ, ყველა ვხედავთ.

გინესის რეკორდამდე „დინამოს“ ცოტა
უკლია — ზელიზედ 11-ჯერ საკუთარი ქვე-
ყნის ჩემპიონი ევროპაში არავინ გამხდარა.
ამ რეკორდით თავს ვერავინ მოიწონებს —
ვერც „დინამო“. და მაინც გვენანება, ცალ-
კერძ რეკორდი, ცალკერძ „დინამო“.


თბილისის "დინამო" ღიზის საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიშისას



კ რ ნ

მიხეილ მუსხის

წინააღმდეგ



მადრი კამთლასპი

ზუსტად აღარ მახსოვს, 1984 თუ 85 წელი იყო. ვახუტეული საბჭოთა კავშირის ჩემპიონატია. თბილისის „დინამო“ კრიზისშია და უმძლავეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის. მაშინ, როგორც თითქმის ყველა ბიჭუნა, მეც ბურთს დაედევდი და „დინამოს“ იქით ვერაფერს ვხედავდი. მაისის თვე იდგა, წვიმდა. წინდღეს ბიჭები გავგაფრთხილეს, ხვალ „დინამო“ მოსკოვის „ტორპედოს“ ვთამაშებ, ხუთ საათზე სტადიონის ცენტრალურ შესასვლელთან შევიკრიბებით, „აუტჩიკები“ იქნებითო. „აუტჩიკები“? — ნამოვიძახეთ, შევხვით, გავვიხარდა. ინყება თამაში და ბავშვებს ისიც ვერ გავვირკვევია, ვინ კარს უკან დადგება, ვინ შუაში, მოედნის კუთხეში... ერთ ამბავში ვართ. ყველას „ტორპედოს“ მეკარის უკან გვირჩევნია. როგორც იქნა, სტადიონის რომელიღაც თანამშრომელმა გავვანანაწილა. აღმოსავლეთ ტრიბუნისკენ გამიშვეს. პირველ ტაიმში „დინამოს“ მარჯვენა მცველს, უმეტესად კი „ტორპედოს“ ნახევარმცველს ვანვლიდი ბურთს. ხალხით სავსე ტრიბუნასთან ახლოს ვიყავი და რამდენჯერმე ნალაპარაკევი ჩამესმა ყურში — ხედავ, კიდევ არ დააყენა, რას ერჩის, ათამაშოს, „კრაი“ არ გვყავს, ვერ მოვიგებთ ამ თამაშს — ქომავები ერთმანეთს ხმამაღლა ელაპარაკებოდნენ და ვხვდებოდი, მიხეილ მუსხისზე, „დინამოს“ ვარემარბზე ამბობდნენ.

ჩამთავრდა პირველი ტაიმი, გოლი არ გასულა. შესვენებაა, ჩვენ, ბიჭუნები, მიწდორზე ვთამაშობთ და ამ დროს, ლამის დაიწვრა თითქმის გადაჭედლი, მაშინდელი ლენინის სახელობის სტადიონი.

გაკვირვებულებმა ბურთაობა შევწყვიტეთ — ბიჭი, ბიჭი, გადმომიგდე ეგ ბურთი, ჩემს თანაგუნდელს ვასძახა ლურჯ მისურაში გამოწყობილმა. ერთი-ორი აკენწლა, გაიქცა, გამოიქცა. ჩვენ პირდაღებულნი შევცქერით — მესხია, მესხი — ყურში ჩამჩურჩულებს ჩემი კბილა.

რამდენიმე წუთში მეორე ტაიმიც დაიწყო. აბა, „აუტჩიკის“ იმ ადგილს სხვას როგორ გავუცვლიდი? სულ ორიოდ მეტრიდან ვუყურებდი, როგორ აბითურებდა დინამოელთა 14 ნომერი რუს მცველს. ნარმოიდგინეთ ჩემი ბავშვური სიხარული. მოვიდა, მიშა! — შეუძახებდნენ ტრიბუნიდან. ისიც შორივ ფინტს გაუკეთებდა მცველს და მეტოქის კარისკენ გაქანდებოდა. მერე ის საბრალო გამოცვალეს, თუმცა მის შემცვლელსაც შავი დღე დაადგა. მომე, მომე გენაცვალე, მალე — მინდვრის განაპირას იდგა დინამოელი და მაჩქარებდა. მეც ვავრბოდი და თვალბეზაფართოებულ, გულაჩქარებულ, გალუმპულ მიხეილ მუსხს გადავუღებდი ბურთს. ერთიორჯერ ისიც მივაძახე, ხომ გაიტან გოლს-მეთქი, თვალს ჩამიკრავდა, ვავიტანო.

იმ თამაშში ვერ გაიტანა, 0:0 დამთავრდა. მატჩის მერე თავზე ხელი გადამისვა, სხვა დროს ვავიტანო, ღიმილით მითხრა. გაიტანა, თანაც არა ერთი და ორი. ვაიტანა, მაგრამ... მთელი მატჩიც უთამაშია, მაგრამ... უნიჭიერესი იყო, საბჭოთა კავშირის ჩემპიონის მედალიც აქვს, თუმცა... მან დიდი ფეხბურთი ვერ ითამაშა. ვერც მამას გაუტოლდა, დიდ მიხეილ მუსხს.

კოზა ინასარიძე

აპარტნილი ბავშვი

და შეხვედრა მეორე, პირისპირ. ის ბიჭი, 15 წლის წინ, წვიმიან საღამოს, თბილისის „დინამოს“ მე-14 ნომერს ვოლის გატანას რომ სთხოვდა, აუტში ვადავარდნილ ბურთს უბრუნებდა, „დინამოს“ საწვრთნელ ბაზაზეა, ვაჭადარავებულ, თმაშთხელებულ 40 წელს მიტარებულ კაცთან ერთად ჩამოსაჯდომის ეტყეს...

- აი, აქ დავსხდეთ.
- როგორც იტყვი, დავესხდეთ.
- ჩემს ბიჭს, პატარა მიმას წუთიწუთზე ვარჯიში ეწყება. რა ვიცი, მგონი ნიჭიერია, თუმცა მესხს როგორ შეიძლება ფეხბურთის ნიჭი არ ჰქონდეს. მეც ვთქვი რა... ვისმენ, დავიწყეთ.
- შეილის ყოველ ვარჯიშს ეხსრებო?
- ვცდილობ, მაქსიმალური ყურადღება მივაქციო, ჭკუა დავარიგო. საშუალება თუ მაქვს, მის ვარჯიშს არ ვაცდენ. ჩემი მეკობრეები არიან მწვრთნელები და მათთან ვარჯიშობს.
- „ავაზაში“ რატომ არ დაგყავით?
- რა ვიცი აბა. თავიდანვე „დინამოს“ სპორტსკოლაში მოვიყვანე. ახლა იქით გადავიყვანო, რა აზრი აქვს?
- თავად ხომ „ავაზაში“ ვარჯიშობდით? როგორც ვიცი, გვიან მისუ-

ლხარო ფეხბურთზე.

— ჰო, მეექვსე კლასში ვიყავი. მახსოვს მამაჩემი მეუბნებოდა, რაღა დროს შენი ფეხბურთიაო. მანამდე ეზოს ბიჭებთან ქუჩაში ვთამაშობდი. მიველი „ავაზაში“ და ვარჯიში ერთი კვირის დაწყებული მქონდა, სპორტის სასახლეში რაღაც მინიტურნიერი რომ ჩატარდა. მეც მათამაშეს და ბობარდირი ვავხდი. მწვრთნელებმა სერიოზულად შემომხედეს. მეორე წელსაც ვითამაშეთ სპორტის სასახლეში, ყველაზე ბევრი ბურთი ისევ მე ვავიტანე. ამის მერე უკვე აღარც მახსოვს, იმდენი პრიზი დავიმსახურე. ტურნირი არ იქნებოდა, ხან საუკეთესო ფეხბურთელად, სხვებზე ტექნიკურად არ დავესახელებინე ორგანიზატორებს. მხოლოდ ის მიკვირდა, ასაკობრივი ნაკრებების მწვრთნელებს გუნდში რატომ არ აყვავიდი. მერეღა მივხვდი მიზეზს — მწვრთნელები თავს იზღვევდნენ. მათ ჩემზე ეუბნებოდნენ, როდის რას გააკეთებს კაცმა არ იცისო. იმასაც კი ამბობდნენ, მამამისზე მაგარი ვაიზრდებო, მაგრამ...

ერთი სიტყვით ჭაბუკობაში „ავაზაში“ ვთამაშობდი.

— მერე, პირდაპირ თბილისის „დინამოში“?

— არა, „ავაზადან“ რომ წამოვედი, ერთი წელი მთლად უსაქმოდ ვიყავი. ეზო და სახლი — ჩემთვის სხვა არაფერი იყო. შინ მაკითხავდნენ სხვადასხვა გუნდის მწვრ-

თნელები. ყველას უკან ვაბრუნებდი. მიხეილ მუსხის შვილი „დინამოს“ ვარდა სხვაგან არსად ვითამაშებდი. „ავაზადან“ ერთი წლის წამოსული ვიყავი, სახლში რომ დამირეკეს, ნოდარ ახალკაცმა თქვა, ხვალ 12 საათზე ღიმიის ბაზაზე მოვიდესო.

თიკვილი...

— არც კვლები მაქვს, არც სპორტული ტანსაცმელი, საერთოდ, არაფერი. ერთი წელი არაფერი გამიკეთებია და შინ ვერაფერი ვნახე. შემოველი აქ და „ავაზაში“ ჩემი თანაგუნდელები იაგო ჟორჯიკაშვილი, ვაჟა ყვანია და ნუკრი კაკილაშვილი დამხვდნენ. ზოგმა რა მათხოვა, ზოგმა რა. წელსზემით, თუ განსოვთ, სამმანეთიანი ფიზკულტურის ფორმა რომ იყო, ისეთი მაცვია. მოკლე მაქვს, ჭკაბი მიჩანს. ვაგეილი სავარჯიშოდ და რას ვხედავ — კიდეღა, ქუჩის მხრიდან ჩემი შეყვარებული მოსდგომა, თავი შევნიშნე. წინააღი, ვიდრე „დინამოდან“ დამიკავშირდებოდნენ, იმ გოგონას, ახლა რომ ჩემი მეუღლეა, პეკმანი კინო „თბილისთან“ დავუთქვი პირველ საათზე.

მას კი გაუტა „დინამოში“ ჩემი აყვანის ამბავი და ადრე მოსულა, მიყურებს. ნოდარ ახალკაცმა, კაი ხნის უვარჯიშებელი ხარ და მიდი, მოედანს 40-ჯერ შემოურბინეო, მითხრა. რა გქნა აღარ ვიცი, იმ კედლის გასწვრივ სირბილი არ ვინდა? სვეტიცხოველს, „აილასკაში“ არიან გამოწყობილნი, მეც ჭკაბს ვერ ვძალავ, არადა შეყვარებული მიყუ-

რებს. ავდეკი და ნახევარმთვარის ფორმით დაიწყო სირბილი, კედლისკენ არც ვიყურები. ცალი თვალი ახალკაცისკენ მაქვს, აშკარად ვაჭყობ, გიჟია ეს ბიჭო, ფიქრობს. დამთავრდა პირველი ვარჯიში და მწვრთნელთან ოთახში შევედი — საქმე მაქვს-მეთქი, ვუთხარი. რა საქმეო, მიპასუხა. სპორტული სამოსი მომეცით, მრცხვენია ამ ფორმაში ვარჯიში — ვუბნები. „ფარსადანოვიჩმა“ გაკვირვებულმა შემომხედა. როგორი საქმეა, ნაკრების ფეხბურთელები ორ სიტყვას ზედღებდ ვერ უბედავდნენ, მე კი პირველსავე დღეს ჩასაცემეს ვოსოვ. ადგა, მომიახლოვდა, ხელი მომიკადა. შემაბრუნ-შემომაბრუნა, დამხედა და... ძალიან ღიმილი საჯდომი გაქვს, შენი ზომა სამოსი არ გვაქვსო, მიხრა და სკამისკენ წავიდა. ქუჩიდან მისულს მეუბნება ასეთ რამეს, მეც არც ვაცივ, არც ვაცხელე, ვისაც ჩვენში უფრო ღიმილი საჯდომი აქვს, იმის... მაშინ რა ვიცოდი, რას ვამბობდი, როგორ ვცდებოდი. ეს მთელს კარიერას უდრიდა თბილისის „დინამოში“. დღეს ვფიქრობ, ეგებ გაჩუმება სჯობდა-მეთქი, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ტიპი ვიყავი და ასეთად დავკრჩი.

— ახალკაცმა რა გიმბახუბათ?

— არაფერი, ზურგი შემაქცია. ამის პასუხი რამდენიმე წლის წინ გამტა, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თავის ოუბილეზე დამაბატოა. „დინამოდან“ რამდენიმე ფეხბურთელი ვიყავით. სწორედ მაშინ, 17-18 წლის შემდეგ გაიხსენა ეს ამბავი. რატომ მიხარია ეგრეო, მკითხა. რა მეპასუხა, არც ვიცოდი. მიიღებ შენ სპორტულ ფორმასო, დამშვიდობებისას მომაძახა. მეორე დღეს შინ ეროვნული ნაკრების ადმინისტრატორმა „ადიდასის“ სამოსის მთელი კომპლექტი მომიტანა. მიდი ახლა და გაიხედილი ადამიანებისა. ახალკაცი გენიალური პიროვნება იყო. მეცინებოდა, იგი რომ ფეხბურთის ფედერაციას პრეზიდენტობდა და საქმიანობას უწუნებდნენ. ფედერაციის პრეზიდენტობა „ფარსადანოვიჩისთვის“ ისეთივე იოლი საქმე გახლდათ, როგორც, დავუშვებ, ილია ჭავჭავაძისთვის პირველი სკოლის დირექტორობა იქნებოდა. თუმცა ამ ყველაფერთან ერთად იმასაც ვეჭვით, რომ, როგორც ფეხბურთელი, სწორედ მან დამლუბა.

— მხოლოდ მან? თავისთვის არაფერი დაგიკლიათ?

— ძალიან ცოტა. მინდოდა, ღიმილი ფეხბურთი მეთამაშა, მაგრამ საშუალება არ მომიცია. ჩემს არასტაბილურობაზე რომ

ლაპარაკობენ, მიხარით ერთი, სტაბილურობა რას მოაქვს? თამაშს, პრაქტიკას, არა? მე კი არ მახსოვს, ოთხჯერ ზედიზედ ძირითადში დავეყენებინეთ. არამარტო ახალკაცს, ყოფიან იგივეს მიკეთებდა.

პირველად ბელგიაში და ისევ სკამზე

— კეთილი, მაგის თაობაზე კიდევ გკითხავთ. ახალკაცს



გურამ დროსტაშვილი

მინილ მუსხი: საიტი გავრძელება მებრუნა?

ასეთი სიტყვები რომ უთხარით, თქვენი ურთიერთობა როგორ გაგრძელდა?

— წელიწადზე მეტი 16 კაცში მოხვედრა სანატრელი მქონდა. ერთ მშვენიერ დღეს კი ახალკაცი თავისთან მიბარებს. მაშინ „დინამოში“ მე და მერაბ ჟორდანიას გვქონდა ყველაზე დაბალი ხელფასი — 60 მანეთი. მიბარებს და მეუბნება, თითქმის ყველაზე მაღალ ხელფასს გინიშნავ, მიდი ახლა ადმინისტრატორთან, სპორტული ფორმა, ფული გამორათვი და ორი ფოტოსურათი მიეცით. რა ხდება-მეთქი, ვკითხე. 1982 წელია. ბელგიაში შენც წამოხვალ, „სტანდარდის“ წინააღმდეგ უნდა გათამაშო, მაასუბნებს. გავამეორებინე, ყურებს არ დავუჯერე არც მერე მჯეროდა, თვითმფრინავში რომ ჩა-

ვსხედით. წარმოიდგინეთ, 16 კაცში ვერ ვხვდები და მოულოდნელად „სტანდარდის“ წინააღმდეგ?.. ჩავედით ბელგიაში, ჭკუაზე არა ვარ, ვფიქრობ ძირითადში დამაყენებს თუ რამდენ წუთს მათამაშებს-მეთქი. დაასახელა შემადგენლობა, ჩემი გვარი არ წაუკითხავს, თუმცა განაცხადში ვარ. შესვენებაზე მიხრა გაიხადეო. დაიწყო მეორე ტაიმი. შიშისგან, ნერვიულობისგან ვკანკალებ. ასეთი დონის თამაშები ტელევიზორში თუ მენახა, უცებ კი მონაწილე გა-

ჩემს ადგილას მაყენებს. ნუკრის ეუბნება, მაშა ფეხში მოგთხოვს პასს, ფეხში მიეცი, გაქცეული მოგთხოვს, გაქცეულს მიეცი, ტრიბუნიდან მოგთხოვს, ტრიბუნაზე დააწიე ბურთით. მერე მე მომიტრიალდა, შენ კიდევ ახლა გახვალ მინდორზე და ამ თამაშში მომიგებო. მეტი სტიმული რა გინდა. გავედი მოედანზე. ერთი გოლი გავიტანე, ერთიც გრისა ცაავას გავატანინე. საბოლოოდ 2:2 მორჩა ის თამაში. ჩამოღის კრასნოდარის „ფურბანი“. ძირითადში ისევე არ ვარ. პირველი ტაიმის მერე კი 4:1 ვიგებო. ვუყურებ სახეში ახალკაცს, არაფერი მესმის, მათამაშოს რა მოხდება? 4:1-ია ანგარიში. არა, ბოლომდე სკამზე დამტოვა. ასეთ მაგალითებს კიდევ ბევრს ვაეჭვებო.

თავსუბიანი, კაიფოვსო, კიდე...

— რატომ არ გათამაშებდით? ერთხელაც არ გიკითხავთ?

— რა აზრი ჰქონდა კითხვას. რა გიპასუხობთ, არც ვიცო. ყოველთვის ერიდებოდა ძირითადში ექვსი-შვიდი თბილისელის დაყენებას. სამ-ოთხს კიდევ ვუვებოდა, მეტს ვერა. დიქტატორობა უნდოდა, თერთმეტ თბილისელთან არ გამოუვიდოდა.

— იქნებ ყველაფერი თქვენი ხასიათის ბრალი იყო? მასსოვს ერთხელ გურამ ფანჯიკიძემ გკითხათ, შენზე ამბობენ...

— თავსუბიანი?
— ...შო, ასე ეწერა.

— მაშინ მე ვუპასუხე, რომ ვინც კარგად მიცნობს, ამას არ იტყვის, არც იფიქრებს-მეთქი. 23 წლის ვიყავი და ხალხს ჩემი ყველაფერი ანტერესებდა. ახლა 40-ს მივუკაკუნე, ვისაც რა ანტერესებდა, ალბათ, გაიგო; თუ არადა, ამ ინტერესს რომ წაიკითხავენ, მაშინ გაიგებენ ვინც ვარ.

იცით, მე გუნდში ყველას ვუყვარდი, პირში მთქმელი ვიყავი და ახლაც ასეთად დავრჩი. მიღით თნგიზ სულაქველიძეს, შოთა ხინიაშვილის ჰკითხეთ, რას გიპასუხებენ, მე ორიგესთან მიჩნუბია. არც უხრდელურად მოკვცეულვარ მათ წინაშე, არც თავხედურად, ყოველთვის საპირილიანი კაცი ვიყავი.

— მიშა, ალაღად მიხარით...

— აბა, სხვანაირად როგორ გითხრათ?

— რა ვიცის, აბა...
ენა დამება, როგორ მეკითხა იმას ვფიქრობდი. სინამდვილეში ჩამო-

რდა, ბოლოს, პირდაპირ ვე-
ტყვი-მეთქი და...

— 1977 წლიდან 81-მდე ეს-
ვამდი, სივარტესაც ვეწეოდი,
სხვა რამეებსაც ვაკეთებდი, და-
სამალი რა მაქვს, მაგრამ მე-
რე, ხალხის ტაში რომ გავიგე,
გავიგე ისევე მიმა მესხს ელოდ-
ნენ, თქვენი ნებაა დამიჯერებთ,
არ დამიჯერებთ, 82-დან 89-ის
დამდეგამდე სპორტული რეჟი-
მი სერიოზულად არ დამირღ-
ვევია. მატჩის მერე ბიჭები რე-
სტორანშიც დავდიოდით, ქალებ-
ბთანაც, მაგრამ ეს არცაა სათ-
ქმელი, ასე იქცევა ფეხბურთე-
ლთა უმეტესობა. თამაშის მე-
რე თავისუფალი ხარ, და სწო-
რედ მაშინ, სივარტის დანახ-
ვაზეც რომ აღურვია მქონდა,
ჩემზე ამბობდნენ, კაიფობსო. არც
სხვა ათას სისულელეს მაკ-
ლებდნენ. ვერ ვიტყვი, რომ დი-
სიდენტი ვიყავი, მაგრამ მიუ-
ღი საფეხბურთო კარიერა კო-
მუნისტების, მათი რეჟიმის შა-
ყორში გავატარე „დინამო“ კი,
ალბათ იცით, შინაგან საქმეთა
სამინისტროს გუნდი იყო. ჰო-
და რამეს რომ ვიტყვოდი, გაბე-
რავდნენ, გააზვიადებდნენ და სა-
მინისტროს უფროსობამდე ასე
მიპქინდათ ნათქვამი. კომუნის-
ტების დროს კი, რად უნდა თქმა,
თუ გეცინებოდა, ვერ გაიცინე-
ბდი, უნდა გეტბრა, თუ გეტბ-
რებოდა, პირიქით, მათ დასანა-
ხად რომ გაგეღიმა, კარგი ბიჭი
იქნებოდი. მე კი ეს არ შემე-
ძლო, არც მამაჩემს. მე პოპუ-
ლარული ვიყავი და ამას ვერ
იტანდნენ, სულ მათ ვაქცილი-
ყვებდი, ამიტომაც არ მათამა-
შეს დიდი ფეხბურთი. შუა გზა-
ზე გამაჩერეს, მამაჩემი — ვე-
რა. მან მეტეორივით გაიბრწე-
ვინა და ვეღარ ჩააქრეს, მე ან-
თების საშუალება აღარ მი-
მცეს. მამაჩემს 1966 წელს მა-
ინც დაინებინეს ფეხბურთის-
თვის თავი, ინგლისის მსოფ-
ლიოს ჩემპიონატზე რომ არ წა-
იყვანეს. მერე სამი წელი ისე,
ინერციითდა ითამაშა.

ცოტა სხვა თემაზე გადავე-
დი, მაგრამ, რისი ბრალაა დი-
დი ფეხბურთი რომ ვერ ითამა-
შეო, როცა მეკითხებით, რა გი-
პასუხით არ ვიცი. ბევრჯერ
მითქვამს, ვეგებ კაგებეს ხელი
ურევია-მეთქი და ამაზე ხალხს
გასცინებია. მე კი სულაც არ
გამოვრიცხავ.

ერთ მაგალითს მოგიყვებით
და თავად განსაჯეთ. რომელი
წელი იყო აღარ მასხოსვს, კე-
ვში ვიყავით თამაშზე, რომ მი-
თხრეს — შენ, გროშა ცაავა და
დავით პაიკიძე საბჭოთა კავში-
რის ახალგაზრდულ ნაკრებში
ხართ გამოძახებულნიო. ჩავს-
ხვდით თვითმფრინავში, თბილი-
სში მოვფრინავთ, ცაავასა და

პაიკიძეს ვერსად ვხედავ ვეკი-
თხები გუნდის ერთ-ერთ ხელ-
მძღვანელოთაგანს, სად არიან-
მეთქი. მოსკოვში წაყიდნენ, ახა-
ლგაზრდული ნაკრების შეკრე-
ბაზეო, მასუხობს. მერე მე?
მეც ხომ გამომიძახეს? — შე-
კუბრუნე. შენ არავის გამოუძა-
ხებიხარ, ვილაც-ვილაცების ნა-
თქვამს ნუ იჯერებ — ლამის
იყო თითი დამიქნია იმ კაცმა.
რალა გაეწყობოდა, ჩამოვედით
თბილისში. შევეღივარ ახალკა-
ცთან ოთახში — ნაკრებში რომ
მიმიწვიეს რატომ არ მითხა-
რით — ვეკითხები ქალაქე-
ლში თავნარგულ მწვრთნელს.
არავის მიუწვევიხარო, თავი არც
აუწვევია, ისე მითხრა. გამოვე-
დი ოთახიდან და ეს ყველაფე-
რი უფროს მეგობარს ვეძემალ
ჩინაძემეს ვუთხარი.

წავიდა ჯემალი სპორტკო-
მიტეტში, ჩემი ნაკრებში გამო-
ძახების დამადასტურებელი ფე-
რცელი მომიტანა, აპა, მიდი „ფა-
რსადანოვიჩს“ აჩვენეო. გამოე-
ართვი და ახალკაცს შევეუტა-
ნე. ეს რა არის-მეთქი, ფურცე-
ლი მაგიდაზე დაუდევ. ვა, ყო-
ფილაო, ვითომ გაიკვირვა და
ადმინისტრატორს დაუძახა, გა-
უშვი მოსკოვშიო. წავედით აე-
როპორტში, მაგრამ იმდენი გა-
აკეთეს, ბილეთი ვერ ამიღეს,
არადა, მოსკოვში თითქმის ყო-
ველ საათში დაფრინავდა თვი-
თმფრინავი.

ისევე ჯემალ ჩინაკაძემ იყო-
ჩალა და როგორც იქნა, ბოლო
რეისით გავფრინდი. თბილისში
მითხრეს, ნაკრების შეკრება ნო-
ვოვორსკშიაო. ჩავედი ნოვოვო-
რსკში, დარაჯმა, სასტუმრო
„სპორტი“ არიანო. გამოვბრუნ-
დი უკანვე და სასტუმროში
ღამის 3 საათზე მივედი. ახლა
მიდი, მწვრთნელები დააჯერე
ცაავასთან და პაიკიძესთან ერ-
თად რომ არ ჩავსულვარ და
შუალამდე არ ვერთობოდი. მო-
კლედ, ნიკოლაევს ერთი საათი
ეუხსნიდი, რაც გამიკეთეს. ვე-
თამაშებით მაშინდელ გერმანი-
ის დემოკრატიული რესპუბლი-
კის ნაკრებს. პირველი ტაიმის
შემდეგ ვაგებთ, 0:1-ია. მეორე
ტაიმში შევედი მინდორზე. ორი
გოლი გავიტანე, ერთიც ცაა-
ვას გვატანინე და მოვიგეთ.
რამდენიმე დღეში ლენინგრადში
ფინეთს ვეთამაშებით. ძი-
რითაღში არ დამაყენეს. ისევე
მეორე ტაიმი მათამაშეს. ანგა-
რიში კი სტუმრებისაა. მეუბნე-
ბა ნიკოლაევი, ეს თამაში უნდა
მოიგო. ავხედე გაკვირვებულ-
მა, ჩემთვის ვიფიქრე, მე რა
ჯინი ვარ ბოთლში-მეთქი? სა-
ბოლოდ წავაგეთ, იმის მერე
ნიკოლაევი აღმაცერად მიყუ-
რებდა.

მამა
— ყოველივე ამის შემე-
ფერე მამათქვენი რას ამ-
ბობდა?

— გიყს ჰგავდა ცხონებული...
ამოიხსნოთქა, ასანთის კოლო-
ფი ხელში დაატრიალა, მიი-
ხედ-მოიხედა, სიტყვა მამაზე ჩა-
მოვარდა, გაახსენდა...

— ...მართლა გიყს ჰგავდა.
იცოდა რომ მზავრავდნენ, იცო-
და სათამაშებელი ვიყავი და უსა-
მართლოდ მექცევდნენ. თქმით
კი არავის არაფერს ეუბნებოდა.
რაც მასხოსვს ერთი მიიხრა, „დი-
ნამოს“ ანდრო ფორდანია რომ
წვრთნიდეს, შენ ჩემზე დიდ ფე-
ხბურთს ითამაშებდიო. მამაჩემი,
რაც „დინამოში“ ვიყავი, ბაზა-
ზე ერთხელაც არ მოსულა. იქ

ნდა ცუდი ურთიერთობა.
— ცუდი ურთიერთობა? ბეს-
კოვი შოვინისტი იყო. მარტო
მამაჩემს კი არა, ქართველებს
ვერ იტანდა.

საბჭოთა სპორტსმენისთვის შეუფერავალი საქსიელი

— თუ არ ვცდები, „დი-
ნამოდან“ 1986 წელს გაგი-
შვეს...

— გამიშვეს კი არა, გამა-
გლეს.

— რატომ გაგაგდეს?
— საბჭოთა სპორტსმენი-
სთვის შეუფერებლად მოიქცეო.

მადრი კომიტეტი



მიხეილ მუსხი და მიხეილ მუსხი

მისი თანაგუნდელები, ვეტერა-
ნები თამაშობდნენ, მამაჩემი კი...
დარწმუნებული ვარ, ჩემს გამო
არ მოდიოდა, ახალკაცი, მეონი,
ამაზეც იბოღმებოდა.

— მამათქვენი თამაში გა-
ხსოვთ?

— არა, მხოლოდ მონაყოლით
და ვიდეოკადრებით ვიქნეი წა-
რმოღვენას. მაგარი ყოფილა.
იცით, დილოში აუზიანი სა-
ხლი გვაქვს და 52 წლის კაცი
მეორე სართულზე ადგილიდან
ახტებოდა, დაახლოებით მეტ-
რიან მოაჯირს ხელ-ფეხს არ
შეახებდა და აუზში ისე ხტე-
ბოდა. მერე ვფიქრობდი, ამხე-
ლა კაცი რომ ამას აკეთებს,
ფეხბურთელობისას რაღაც იზა-
მდა-მეთქი. ძალიან ხსარტი იყო.
მცველს როგორ უნდა წაერთმია
ბურთი, ევ მიკვირს.

— მიშა, ვიდრე „სპარტა-
კში“ გადასვლაზე გკითხა-
ვდეთ, ის მიპასუხეთ, ბესკოვს
მამათქვენი რატომ ჰქო-

— არ მოგიყვებით?
გულიანად ვაიცინა, ნაბანს
გადამაყლესო, თქვა და ვანა-
გრძობ.

— შინაგან საქმეთა მაშინდე-
ლმა მინისტრმა შოთა გორგო-
ძემ ახალკაცის გუნდიდან გაშ-
ვება მიიწვილა. ბაზაზე სამინი-
სტროს თანამშრომლებმა ნუკრი
კაკილაშვილი და მერაბ ფორ-
დანია ნახეს, უთხრეს, ცენტრა-
ლურ კომიტეტში ყველაფერი
იცან, უბრალოდ ხალხის გა-
ღიზიანება არ უნდათ და თქე-
ნთან დაგვაბარეს, თანაგუნდე-
ლები საქმის კურსში ჩააყენეთ
და თქვენვე ფეხბურთელებმა
თქვით, ახალკაცი წაყიდესო. ის
დროა, „დინამო“ კრიზისიდან გა-
მოდის და ევროტურნირის საე-
ზურისთვის ვიბრძვი. მითხრეს
თანაგუნდელებმა, რომ ახალკა-
ცის გაშვებაზე ლაპარაკი. ეუ-
პასუხე, სადაც თქვენ, მეც იქ
მიგულეთ-მეთქი. აბა ჩემზე მე-
ტად ვის უნდოდა ახალკაცის

გაუნდოდან წასვლა? ძირითად შემადგენლობას არც კი მაკარებს.

ერთი დღეც არის და გუნდი, ახალგაზრდები შევიკრიბეთ, სპორტკომიტეტის მამინდელ თავმჯდომარეს ნუგზარ ენდელაძეს ვესტუმრეთ. ვსხედვართ მის კაბინეტში და 15 წუთი ხმას კაციშვლი არ იღებს. ბოლოს ავღეკი, ენდელაძეს ყველაფერი ვუთხარი: გადაირია კაცი, ახლავე ცეკაში დავრეკავ, ვავიგებ, რა ხდებაო. თურმე ნუ იტყვი, ცეკაში არაფერი იციან, პირიქით, ახალკაცს უჭერენ მხარს.

ახალკაცის გაგება მარტო მინისტრს სურდა. საღამოს ბაზაზე ვბრუნდებით, ვარჯიში გვაქვს, მეორე დღეს მოსკოვის „დინამოს“ ვეთამაშებით. ახალკაცს ისე უჭირავს თავი, ვითომ არაფერი იცის. გაგვიკვირდა. არადა, მერე გაოგეთ, მოსკოვის „დინამოსთან“ თამაში ჩაწყობილი აქვს, ჩვენ რომ არ გავიტანოთ, რუსები თავის კარში გაიტანენ. მერე დენპროპეტროვსკში უნდა გვეთამაშა, ისიც ჩაწყობილი ჰქონდა, მივივებთ ორივე თამაშს. ახალკაცს ვებტარანების იმედი აქვს, 11 კაცს მაინც შეგვრჩევს, ჩვენ კი... მოგებული მატჩების მერე სათქმელი ექნება, ხომ ხედავთ, თამაშს თამაშზე ვივებ, ესენი არ მჭირდებათ და გუნდიდან გაგვიშვებს. აქეთ ვიწყობს რაღაცებს.

ვარჯიშის შემდეგ ბიჭები შევიკრიბეთ და შინ წავიყვანე. ვუთხარი, „ფარსადანოვიჩმა“ რომელიმე ჩვენგანი რომ გუნდიდან გაუშვას, ყველა წავიდეთ მეთქი. შეუთანხმდით. ღამის 12 საათია და არავინ გვეძებს, მეორე დღეს კი თამაში გვაქვს. ვრეკავ ბაზაზე, ვკითხულობ, არ გაინტერესებთ, სად ვართ-მეთქი? ატყდა ერთი ამბავი, ცეკვას მღვიმის გურამ ენუქიძის დაბადების დღე იყო. ურუკავენ მას, დაგვიბარეს ჩვენც. შუალაძეს ბაზაზე მივედი, მოვიდა ენუქიძეც. კაცმა საერთოდ არ იცის, რა ხდება. დააკვირდა, ახალკაცს იქვეა, ვლადიმერ კავდეცი, პირდაპირ ვუთხარი ენუქიძეს, ეგ კაცი თუ იქნება მწვრთნელი, ხვალ მოუდნა არ გავალო, და ბიჭებს მივამახე, ჩემთან ვინ ხართ-მეთქი. ყველა წამოდგა და ოთახიდან გავდით. ენუქიძემ შეგვაყოვნა, რა კწნათ ნოდარო, ჰკითხა ახალკაცს. „ფარსადანოვიჩმა“ თავი გაიქნია, ერთი ამოიხრა და თვითონ წავიდა. ასე გავუშვით გუნდიდან. ეს ყველაფერი მე გა-

მაკეთებინეს, არადა, სიტყვის თქმას არ ვაპირებდი.

ერთი სიტყვით, მორჩა სეზონი და ჩეხოსლოვაკიაში წავედი. გართობის მეტი საქმე არაფერი გვაქვს. შევედი რომელიღაც კაბში და დავლიეთ. არაფერი მოგვიბარავს, არ გვიჩხუბია, სასმელი მოგვეკიდა, ხმამაღლა ვლაპარაკობდით. გაიფო ეს ამბავი გორგოძემ, ეგ რა გააკეთეთო, გუნდიდან გამაგლო. მერე ცეკა დაარწმუნა, ახალკაცის გაშვება მე არ მინდოდა, აი, მესხის ბრალია ყველაფერიო.

— და ნახვედით მოსკოვის „სპარტაკში“...

უან სტანლი პეტიუზიით თააჟოკ

— წავედი მოსკოვში და კონსტანტინ ბესკოვს შინ მივაკითხე. „სპარტაკში“ თამაში მიინდა-მეთქი, ვუთხარი. მიპასუხა, გუნდში 42 კაცი მყავს და ვინ გავუშვა, იმას ვფიქრობო. ახლა არგენტინაში მივლივართ, შენ კი „ლოკომოტივიში“ ივარჯიშე და რომ ჩამოვალთ, შეგხედავო, თავიდან მიშორებდა. „ლოკომოტივიში“ რა მესაქმება, მე თქვენთან თამაში მსურს, თორემ კივიდიან ლობანოვსკი ყოველდღე მირეკავს, მაგრამ თქვენ ჩემთვის იდეალური მწვრთნელი ხართ-მეთქი, ესეც დავეპატე შევატყვევ ესიამოვნა. ზედმეტი წონა რამდენი გაქვსო, მკითხა. 4 — ვუპასუხე, არადა რვა კილოთი დამიმბეული ვარ. კარგი, ღუბლებში ივარჯიშე ჩვენი არგენტინიდან ჩამოსვლამდე, ბოლოს მითხრა.

„სპარტაკის“ სამხრეთ ამერიკაში ყოფნისას მე მოსკოვში დღეში სამჯერ ვვარჯიშობდი, მოვიინდობე, თავს შევატყვევ მაგარ ფორმაში ვარ. ჩამოვიდა „სპარტაკის“ ძირითადი და დუბლები გავეჯობრეთ. 6:2 მოგუგეთ. 4 გოლი მე შევაგდე, ორიც სხვას გავატანინე. თამაშის მერე ბესკოვი მიბარებს და მეუბნება — играеш, как Стенли Метьюз. მივხვდი, უკვე „სპარტაკის“ ფეხბურთელი ვარ. ბესკოვის მაღლიერი ვარ, მან მაგრძობინა ჩემი ძალა, ფეხბურთელობა.

— „სპარტაკთან“ ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონიც გახდით.

— ჰო, გავხდი. ხალხი კი ამბობდა, ბესკოვმა ოქროს მედალი აწუქაო. არადა რა მაჩუქა, „სპარტაკი“ ფაქტობრივად მე გავხადე ჩემპიონი. ბესკოვს

კი ჩემი „სპარტაკში“ ყოფნის განმავლობაში ერთხელაც ვერ დავაძახებინე ჩემთვის — მესხი. სულ მეტიუხს მეძახდა. ასე მომმართავდა, ბოლოს ვუთხარი, არ მასსოვს იმ კაცის თამაში, მიშა დამიძახებ-მითქი. მაშინ გარინჩა ხარო, მითხრა და მერე ასე მომმართავდა...

ჩეხოსლოვაკიაში გახდა

საერთოდ, მატჩის წინ ბესკოვი ფეხბურთელებს რომ შეჰყრიდა და არიგებდა, მე ჩემს ოთახში ვიყავი. მერე დამიძახებდა. ამიფანდა ოთახში, ჩამირთავდა ვიდვოს და გარინჩას თამაშებს მაყურებინებდა, ასე უნდა თამაშო. კიევში მატჩამდეც იგივე გააკეთა. კარგად მასსოვს, იმ დღეს კიევში კარიერაში საუკეთესოდ ვითამაშე.

არ მეგონა, კიევის „დინამოს“ სტუმრად თუ დავამარცხებდით. სტადიონზე მივედი, ავტობუსიდან ჩამოვივართ და ვხედავ, გასანდვლიან ბალტჩა, ბალი, ბესონოვი და ჩელე დგანან...

— ჩელებადეს რა უნდოდა?

— მეგობრობდა მათთან. ჩერნობილის კატასტროფა რომ მოხდა, ჩელებადე ექვსი უკრაინელის ოჯახი ქობულეთში წაიყვანა და რამდენიმე თვე თავისთან აცხოვრა, კაპიკი არ დაახარჯინა... ჰოდა, ჩელემ დამიძახა, მივედი, მივესალმე და კიევლთა გასაგონად მეუბნება — მიშა, „დნეპრმა“ 300 ათასი მანეთი ჩამოიტანა, ავგერ, ბესონოვს მისცეს, ამან კი ფეხბურთელებს უკვე დაუჩაწილა, „დნეპრს“ მსაჯიც გამოაშული ჰყავსო.

საქმე ის იყო, კიევში რომ ვერ მოგვევო, ჩემპიონი „დნეპრი“ ხდებოდა. კოჭებს გაუფრთხილდი, ტყუილად ტრავმა არ მიიღო, ყველაფერს წინასწარ გეუბნებო. დანარჩენებმაც თავი დაუქნიეს. თავში სისხლი ამივარდა, კინალამ გაგვიოღ. ერთი წელი იმდებო ვიწვალე ვიღაც ვიღაცებმა ჩემპიონობა იფიქრონ-მეთქი, გავიფიქრე კაცი არ ხარ, მიშა — ვუეუბნები თავს — მიდი ახლა, უჩვენე სერი კიეველებს. გავიდა მინდორზე და... 10 მოვივით, ჩერეკოვმა ჩემი ჩაწოდებული გაიტანა ერთადერთი გოლი. ბესკოვმა კი თამაშის შემდეგ სულ სამ ფეხბურთელს დაუწერა ხუთიანი — მე, ჩერეკოვსა და დასავეს. დანარჩენე-

ბის თამაში ორიანი შეაფასა.

— მერე „დინამოში“ რატომღა დაბრუნდით?

— დამაბრუნეს. თბილისში რომ მოვდიოდი, ბესკოვმა მითხრა, პირველი ფეხბურთელი ხარ, ვინც „სპარტაკიდან“ ნებით მიდისო. ჩამოვედი „დინამოში“ და იგივე გამოკეთეს, რაც იქამდე.

გუნდი ალჟირში და გერმანიაში წავიდა მოსამზადებლად. მე დამტოვეს, საგარო საქმეთა სამინისტრო არ გიშვებსო, მეუბნებოდნენ. ასე გავრძელდა დაახლოებით წელიწადნახევარი და სულ ჩავიქნიე ხელი. კიდევ გიმეორებთ — მე ფეხბურთი არ მათამაშეს.

— ხალხი რომ ახალ, დიდ მიშა მესხს ელოდა...

— ამდენი ხანი კიდევ ხალხის სიყვარულმა, პატივისცემამ მათამაშა. მე ზურგზე დიდი ტვირთი მეკიდა, მამაჩემი დიდი მიშა იყო. თუმც, ყველაფრის მიუხედავად მაინც ბედნიერი ვარ. ყოფილა შემთხვევა, „დინამოს“ ღუბლებში თამაშისას ხალხს ჩემს გამო ადგილი შეუცვლია, მაყურებელი ტრიბუნიდან ტრიბუნაზე გადაიყვანია. მაშინ კი ღუბლების თამაშს 60 ათასი კაციც დასწრებია. მამის ხათრით კაცი ტრიბუნას ერთხელ, ორჯერ... ხუთჯერ გამოიცივლის. ორ წელიწადს ქომაგი ამას არ გააკეთებს. ეტყობა, დავიმსახურე.

სპარტაკიდან არ ნაყოვიდოდი

— დაბოლოს, მიშა, 1977 წელი რომ იყოს და თქვენი კარიერა ახლა იწყებოდე, რას შეცვლიდით?

— ყველაფერი ვიცოდე?

— დაიბ... — ბეგრს... არა, თუ შევცვლიდი, რაღაც წვირილმანებს. ერთი ნაღდად ვიცი, „სპარტაკიდან“ არ წამოვიდოდი, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ დამე, სამიდან ოთხის ნახევრამდე ბაზაზე ჩემი ოთახის კარი იღებოდა და ბესკოვის დაკვლებით მამოწმებდნენ, რამეს ხომ არ ეშამკობსო. იცით რას შევცვლიდი? ფეხბურთელობის შემდგომ ცხოვრებას. ბეგრი შეცდომა დავუშვი. ამას პირველად ვამბობ.

მიხელო მესხი თავის ყავისფერ „დობერმან პინჩერს“ მიუყვება, ამოიხრა, გამდლობო, გავვილიძა და...

ამ კაცს დიდი ფეხბურთი უნდა ეთამაშა.

ბიჭი მარტი



REUTERS



"ბარსელონა" და რივალდო მარტი ყვალს აჯოგას

სოლომონ გულიანოვილი

მარტი განახლებული ჩემპიონთა ლიგის გათამაშებაში ჩვენთვის ორი გამოსარჩევი ამბავი მოხდა. პირველი ის, რომ ლიგაში კიდევ ერთი ქართველის გიორგი დემეტრაძის დებიუტი ვიხილეთ. მეორეც, ორმა ქართველმა ერთ სალიგო მატჩში პირველად გაიტანა და თანაც ვისთან, მიუნხენის „ბაიერნთან“...

კიევის „დინამო“, მარტი ჩინებული შედეგი აჩვენა. თორმეტი შესაძლებელიდან ათი ქულა მოაგროვა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ „ბარსელონას“ ჩამორჩა, რომელმაც მარტი მაქსიმალური შედეგით (12 ქულა) დაასრულა. ათი ქულა მიიპოვა

ლიგის შარშანდელმა გამარჯვებულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“. დაგვეთანხმებით, სოლიდური კომპანიაა. ოღონდ, იმ სხვაობით, რომ „ბარსელონა“ და „მანჩესტერმა“ ჯგუფებში იმარჯვეს, ხოლო „დინამო“ შეჯიბრს გამოეთიშა. მიზეზი, ნოემბერში ორი საწყისი მატჩის წაგება გახლდათ.

„ყველა თამაშში გამოჩნდა, რომ კიეველებს სისწრაფეც, გუნდური თამაშიცა და პრესინგიც ჩინებულად გამოუდით. ცნობილი კიევეური არითმია, როცა ტეში და ტაქტიკა მატჩის მსვლელობისას იცვლება, კვლავ ცოცხლობს.

ქართველი გიორგი დემეტრაძე ჩვენი ახალი შენაძენია. მისი შესაძლებლობები გა-

რგად ვიცით, ამიტომაც ვიყიდეთ სოლიდურ თანხად. ჯერ გუნდს ეჩვევა და როგორც ამბობს, ასეთი დატვირთვები არსად უნახავს. კარგია რომ „ბაიერნს“ გაუტანა, მაგრამ მისი გოლი მადრიდში უფრო გვკვირდებოდა“ — ამბობს უკრაინის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი, ამჟამად კიევის „დინამოს“ ვიცე-პრეზიდენტი რიუჟენ საბო.

...ცხადია, ჩემპიონთა ლიგაში სტაბილური თამაში მხოლოდ უმაღლესი კლასის გუნდებს ხელეწიფებათ. მაგრამ სტაბილური თამაში სულაც არ ნიშნავს სტაბილურ შემადგენლობას. მითუმეტეს, როცა გუნდს ერთდროულად რამდენიმე ამოცანის გადაწყვეტა უწევს. „ბაიერნს“ აშკარად სურს

„მანჩესტერის“ შარშანდელი მიღწევის გამოვლენა, ჩემპიონთა ლიგის, ბუნდესლიგისა და გერმანიის თასის მოგება. ასეთი შედეგი ჯერ არცერთ გერმანულ კლუბს არ უჩვენებია. ამიტომ, ოტმარ ჰიცფელდი იტყობოდა, რომ მისი გუნდი შეიძლება შემაჯავროს. 29 თებერვლიდან 8 მარტამდე „ბაიერნმა“ ევროპას დიდი ორმოქმედებანი სპექტაკლი შესთავაზა. ორჯერ გაანადგურა მადრიდის „რეალი“ და ჯამში რვა ბურთი გაუტანა. ამავე პერიოდში „ბაიერნს“ ერთი მატჩი ბუნდესლიგაშიც ჰქონდა „შტუტგარტთან“. სამივე შეხვედრაში ჰიცფელდმა 19 ფეხბურთელი ათამამა და ამათგან მხოლოდ სამმა მოახერხა შეუცვლელად მინდორზე ყოფნა. „რეალითან“ პირველი გამარჯვების შემდეგ, „შტუტგარტის“ წინააღმდეგ ჰიცფელდმა ექვსი მითამაშე დაასვენა და 0:2 წააგო, მაგრამ საბოლოოდ მწვრთნელი მართალი გამოდგა, „რეალითან“ მეორე მოგებამ ბავარიელები ვადაძდე გაიფანა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში. ის საღამო მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონზე“ მართლაც განსაკუთრებული იყო. „ბაიერნი“ „რეალს“ უგებდა და დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ლოთარ მათეუსის ნაცვლად მინდორზე შვედი პატრიკ ანდერსონი გავიდა. მათეუსი თავის ბოლო მატჩს ატარებდა ბავარიელთა გუნდში და ცხადია მიუღიან კარგა ხანს არ გაუშვეს, „ოლიმპიაშტადიონი“ ფეხზე წამოუდგა დიდ ფეხბურთელს: „გამადლობთ ლოთარ და ბედი გწყალობდეს ნიუ იორკში“ ეწერა ტაბლოზე. თვალცრემლიანი მათეუსისც მაღლიერი მწვრთნელი ათვალეებდა ტრიბუნებს. მათეუსმა „ბაიერნში“ ექვსჯერ

მოიგო გერმანიის ჩემპიონობა, ორჯერ გერმანიის თასს დაეუფლა, ერთხელაც უეფას თასს. ორჯერ კი ჩემპიონთა თასის ფინალი წააგო...
 ჰიცფელდს არც „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი ჩამორჩება. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ხშირად ვან გაალი იტყობოდა შემაჯავრობა ცვალოს, მას უამრავი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს. და მაინც, „ბარსელონა“ ევროპაში ერთადერთია, რომელმაც წლები განდელი ლიგის ორივე ჯგუფური ეტაპი დაუმარცხებლად გაიარა. ლონდონელი ბუქმეიკერები ლიგაში გამარჯვების ყველაზე რეალურ კანდიდატად სწორედ „ბარსელონას“ მიიჩნევენ. ამ რეჟიმში მეორე ევროპის საკლუბო ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ა. მათი მწვრთნელი ალექს ფერგუსონი, ეტყობა ასაკის მომატებასთან ერთად კონსერვატორიც ხდება. თუ „ვალენსიასთან“ ბოლო ტურის მატჩს არ ჩავთვლით, მარტში ის ორ-სამ ფეხბურთელს თუ ცვლიდა. შარშან კი პრემიერლიგასა და ჩემპიონთა ლიგაში, ზოგჯერ ლამის აბსოლუტურად განსხვავებულ შემაჯავრობას ათამაშებდა. და მაინც, ეტყობა შორს აღარაა ის დრო, როცა ცნება „ძირითადი შემაჯავრობა“ შინაარსს და ფუნქციას დაკარგავს.
 ახლა იტალიელებზე ვთქვათ. მარტი იტალიური საკლუბო ფეხბურთისთვის საშინელი თვე გამოდგა. უეფას თასზე ხომ გუნდი აღარ დარჩათ და ლიგის მეოთხედფინალშიც ერთმა „ლაციომ“ გააღწია. განა გასაკვირი არ არის? მაგრამ ნათქვამია, მარტი ისეთი გიჟი და ცვალებადი თვეა, კაცს არაფერი უნდა გაგიკვირდესო. ჩვენც ათარა ვთქვამთ.



ახმა ხალაეძე „ბაიერნის“ ხარში გოლი გაიტანა

REUTERS

ამერიკისა და გზას ლოთარ მათეუსს რაული და იარო ულოცავენ



REUTERS

ძველი დარტყმა

იჩაქალი ბაგრატი

ძველ დროში, კაცი რომ საჯაროდ დარტყმით ბურთს გაიტანდა, ჯადოქარს ეძახდნენ.

უფრო სწორად, ჯარიმები ძველ დროშიც გაკატინდათ, მაგრამ პირდაპირი დარტყმით. ეს ძალიან ძნელი საქმე იყო. გამორჩეულ ფეხბურთელებს, ვარსკვლავებს ძალუძოდათ იმგვარი მოხერხებული ტრაექტორიის ჩაყვით ბურთი, რომ მას ცოცხალი კედლისთვის შემოეგლო, ან თავზე გადაეფრინა და ამგვარად ხახამშრალი დაეჭოვებინა მეკარე. ამგვარი დარტყმები შეედოთ დიდის, გარიჩხას, ჯიმი გრივისს... თუმცა კი, ისიც უნდა ითქვას, რომ დახვეულ ჯარიმთა შესრულებას არ ჰქონდა სტაბილური შედეგი. ანუ, ხშირი ფოთლის შემოქმედ დიდის არ გაუტანია იმდენი, რამდენიც მიშელ პლატინის. ჯარიმის, როგორც სტანდარტული სიტუაციის გოლად ქცევის პროცენტი განუხრელად იზრდებოდა. ანუ, სინიშა მიხაილოვის ბევრად მეტი საჯაროდ დარტყმა გააქვს, ვიდრე პლატინის გაკატინდა.

პლატინიც, მარადონაც და ზიკოც საჯაროდ დარტყმების საუცხოო შემსრულებლები იყვნენ და მათი ოსტატობა მათი დიდი ფეხბურთელობის ერთ-ერთი ატრიბუტი იყო. დღეს კი საჯაროდ დარტყმებს თავისი ვირტუოზები ჰყავს და ისინი ბევრნი არიან. ყოველ დიდ გუნდში მოიძებნება კაცი, რომელიც ჯარიმის გოლად ქცევის ხელსაწყოებს ფლობს. ჩამოვთვალოთ:

„რეალში“ — რობერტო კარლოსი და იერო, „ბარსელონაში“ — რივალდო და ფიგო, „მანჩესტერში“ — ბექემი და სქოულზი, „იუვენტუსში“ — ზედანი და დელ პიერი, „ლაციოში“ — მიხაილოვიჩი და ვერონი, „ინტერში“ — რეკობა და რონალდო, „ილიდში“ — ჰარტი და კოუელი... და ასე შემდეგ, და ასე დაუსრულებლად.

გოლად გარდასახული საჯაროდ დარტყმა თვეობით სალაპარაკო ადარ არის.

ზემოთ კი ვთქვით, რომ საგოლე ჯარიმებს თავისი ვირტუოზები ჰყავთ-მეთქი, მაგრამ ასეთი გზით გატანილი გოლები კვლავაც რჩება ურთულესი ტექნიკური ილეთების ერთობლიობის შედეგად. უბრალოდ, დამრტყმელი ბევრია და გოლებიც ხშირი, თუმცა პროცენტი მერყევი გახლავთ. სტაბილურობა — აი, ამგვარი დარტყმის (და გოლის) მთავარი მიზანი. ანუ, მიხსლოვება იმასთან, რასაც, ვთქვათ რონალდ კუმანი აკეთებდა.

ჯარიმის დარტყმის და გოლად ქცევის ხერხი ყველას თავისებური აქვს. თუ ჩახვეულ ბურთს დავუბრუნდებით, დავინახავთ, რომ დარტყმის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. ვთქვათ „შიგნიდან“ (ზიდანს რომ უყვარს ხოლმე) ან „გარედან“ (ეფენბერგის განთქმული) ან „შიდა ზემოდან“ (ბექემისა) ან „გარე ზემოდან“ (რონალდოს გაუტანია), ან სულაც „შუა ზემოდან“...

ამ ვარიანტთა საფუძველი გახლავთ პირველი, ძველი, კლასიკური, მოჭრილი დარტყმა, რომელიც თავისი შინაარსით უხსოვარი დროიდან მოდის, თუმცა კი, ძნელი სათქმელია, როდის გადაეგლო პირველად

ცოცხალ კედლს და როდის გაეხვია მეკარისგან შორეულ კუთხეში.

დამწვები მოჯარიმების ურიგო არ იქნება, ჯერ კლასიკური დარტყმის სრულყოფილი შესწავლა და უკვე შემდეგ ამ შენასწავლიდან საკუთარი ვარიანტის შემუშავება. ჩვენ კი შეგვიძლია შემოვთავაზოთ საგოლე ჯარიმის ერთი იშვიათი ხერხთაგანი, რომლის ზუსტად შესრულებაც გოლს შობს. ეს დარტყმა დღეს იშვიათად მოიხმარება.

ჯარიმის შესრულებისას კედლის თავზე ბურთის ჩახვეულად გადატარება და კარში შეგდება გახლავთ ურთულესი ტექნიკური ილეთი და მისი შესრულების ყოველი ფაზა უადრეს სიზუსტეს მოითხოვს. ამას ერთვის ისიც, რომ ფეხბურთელმა შინაგანად უნდა შეეგრძნოს მთელი პროცესი და ბურთი, ანუ უნდა მოერგოს მას. ყველაფერი ბურთით იწყება.

დამრტყმელს ადრეიდანვე უნდა ჰქონდეს შერჩეული ბურთზე რაღაც ადგილი (უკეთესია ნიჟელი. თუ ეს პოზიცია ნიჟელს უჭირავს, ბურთი უკეთესი ძალით გაფრინდება) იმიტომ, რომ ეს შერჩეული ადგილი მიეხმარება მას ბურთზე დასარტყმელი წერტილის დამასოვრებაში. ბურთი უნდა დაიდოს ბალახზე ისე, რომ დამახსოვრებული ადგილი მიწიდან 40-45 გრადუსზე იყოს.

გამორბენი დიდი არ უნდა იყოს — 4-5 მეტრი. ასე უფრო ილია სიზუსტის დაცვა და საყრდენი ფეხის კარგად დადგმა დარტყმის წინ. დარტყმის წინ საყრდენი ფეხი ოცდათხუთმეტი სანტიმეტრით მაინც უნდა იყოს დაშორებული ბურთს, რათა დამრტყმელი ფეხი კარგად მოხვედეს ბურთის ზედა მესამედს.

დარტყმის მომენტში დამრტყმელი ფეხის თითები მაღლა უნდა აჭიმოთ, იმდენად მაინც, რომ ბუცის ფსკერსა და თითებს შორის პატარა თავისუფალი ადგილი მაინც დარჩეს. დარტყმა ჭვინტით სრულდებ

ა, მაგრამ ეს არ არის ნაღდი „ნასოვი“. ჯერ ერთი ჭვინტს ბურთის ზედა მესამედს ურტყამ, მორეც, უნდა დაარტყა იმ ადგილით, სადაც ბუცის ზედაპირი და ლანჩა უერთდება ერთმანეთს. მთლად მისწრებაა, თუ დარტყმის მომენტში ბურთს წინა ქავებიც (შიპები) მოხვედება, ანუ დაჰყვება. ეს უკეთ გაგრძობინებთ ბურთსაც და მას დამატებით ჩახვევის ძალას შემატყვებ.

ბურთის დარტყმისას მოქმედი ფეხი მკვეთრად უნდა აიწიოს მაღლა. ანუ შეეხება თუ არა ჭვინტი დანიშნულ ადგილს (თუმცა ეს ბურთის ზედა მესამედია) ფეხბურთელმა უნდა ამოსცხოს იგი და არა დაკრას, წაკრას და ა.შ. ამ დროს იმაზეც უნდა იფიქროს, რომ ტანი (კორპუსი) უკან არ გადახნიქოს.

ძალის გამოთვლა თვითონ მოთამაშეზეა დამოკიდებული.

თუ ყველაფერი ზუსტად შესრულდა, ბურთი რკალური ტრაექტორიით გადაეკლებს კედლს და დაუცველ კუთხეში შეფრინდება. ზოგჯერ ბურთი ბზრაილით არ წავა, მაგრამ ტრაექტორია მაინც რკალური ექნება.

ამ იშვიათ დარტყმას ძველ დროში საჯარიმოს მისადგომიდან, პენალტის ნახევარწრეს მიდამოებიდან ასრულებდნენ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამგვარი დარტყმა არანაკლები ძალისა და სისწრაფის გამოდის, ვიდრე თხემით დარტყმული ბურთი, ჩახვეულს და შიდა ტერფით დარტყმულს კი სჭარბობს კიდევ.

ამ იშვიათ დარტყმას ვვარიანად გრძელი სახელი ერქვა: „ჭვინტით მოჭრილი ზედა მესამედზე“ და ერთგვარად ჩამოჰყავდა ჰორასიო კარტერის დამოკლებულ შუტებს, რომელთა ვარიანტებსაც ჩვენს დროში უან პიერ პაპინი ასრულებდა.

ამგვარ დარტყმებს ადრე კუთხურის დროსაც იყენებდნენ.

მოკლედ, ძველი დარტყმა და საინტერესოა დღეს როგორ გამოიყენებდნენ.

ისტორიული ჯარიმა. 1994 წლის 9 ივლისი. მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი: ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვის (№8) გოლი გერმანელთა კარში



გამორჩეული სურათი ბურთი უდაბიანზე სწრაფია

ლუა ჯაფარიძე

ფეხბურთის ისტორია დიდ გუნდებთან, თასებთან და გამარჯვებებთან ერთად ტაქტიკურ სქემათა განვითარების ისტორიაც გახლავთ. ინგლისელი მკვლევარი დენსონდ მორისი სათაბაშო სისტემათა ციფრული გამოსახვის დაახლოებით 70 ვარიანტს ითვლის, თუმცა მათგან, მისი აზრით, პრინციპული მნიშვნელობა 15-ს აქვს.

წერილების ციკოს, რომელსაც დღეიდან ვთავაზობთ, ყოვლისმომცველობის პრეტენზია ვერ ექნება, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ თემა, რომელსაც ვეხებით, ძალიან საინტერესოა და მასთან გაცნობა ღირს.

საუბარი იმით დავიწყეთ, რომ მე-19 საუკუნის შუაში, ფეხბურთის თამაშის დროს გუნდები თითო მეკარითა და ათი თავდამსხმელით ანუ 1-10 სისტემით მოქმედებდნენ. ინგლისში ამ მეთოდს დაარტყი და გაიქეცი შეარქვეს. ცხადია, ამ პირველყოფილ საფეხურზე რაიმე სქემასა და თანავუნდელთა შეთანხმებულ მოქმედებებზე ლაპარაკი არ ყოფილა.

როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, იმავე 50-იანი წლების მიწურულს გამოიკვეთა სათაბაშო სისტემის პირველი მორიფიკაცია. კერძოდ, ზემოხსენებულ 10 თავდამსხმელს ჩამოაკლეს ერთი და იგი მეკარის წინ, მეტოქის შეტევათა ჩასაშლელად დააყენეს. ამრიგად, ფეხბურთში იშვა




1891 წლის ასოციაციის თასის ფინალი "ანინგბორნ ოვალზე". უსწოპი ავტორი

ახალი ამბლუა — მცველი.

ალსანიშნავია, რომ იმზანად მეკარე და ერთადერთი მცველი (სისტემას შეიძლება 1-1-9 ეწოდოს) ერთობ წარმატებით უწყვედნენ მეტოქის 9 თავდამსხმელს წინააღმდეგობას, რაც სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ მე-19 საუკუნის 50-იანი წლების ფეხბურთში პასი თითქმის არ არსებობდა. სხვაგვრივ, ძნელი წარმოსადგენია, როგორ უნდა ჩაეშალა ორ კაცს 9 ადამიანის შეტევა.

სურათი უფრო ნათელი რომ გახდეს, იმდროინდელ წესთა კრებულში ჩავიხედოთ, სადაც წერია, რომ თუ შემტევი გუნდის რომელიმე მოთამაშე ბურთზე წინ არის, ის ოფსაიდშია. აი, ახლა კი ვველაფერი ცხადია. გამოდის, რომ მაშინდელი შეტევა ძირითადად დრიბლინგზე იყო დაფუძნებული — უტევედა ბურთიანი, ხოლო თანავუნდელები მხოლოდ იმიტომ მისდევდნენ, რომ თუ მოწინააღმდეგე მცველი ბურთს წართმევდა, რომელიმეს იგი ხელთ



ეგლო და ახალი დრიბლინგი წამოეწყო...
... 1863 წლის 26 ოქტომბერს, ლონდონში GREAT QUEEN STREET-ზე, ტავერნა FREEMASON TAVERN-ში გაიმართა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის კრება, სადაც პირველი ოქმი დაიწერა. იმხანად ფეხბურთის 15 წლის ისტორია ჰქონდა და ძირითადი წესებიც უკვე მოფიქრებული გახლდათ. ამრიგად, ოფიციალური სახის მიღებამ კოლეჯებში, სტუდენტთა შორის ერთობ ფეხმოკიდებულ თამაშს ტექნიკურ-ტაქტიკური განვითარებისკენ ახალი ბიძგი მისცა.

1863-დან 1872 წლამდე ჩნდება ახალი ტაქტიკური ვარიანტები, თუმცა ინგლისელთა სამწუნაროდ ახალ აღმოჩენათა სათავეებთან შოტლანდიელები დგანან. სწორედ სქოთიებმა იგრძნეს პირველად, რომ თამაშის დროს მოედანზე დიდი აუთვისებელი სივრცეები რჩება და იქ თავიანთ მოთამაშეთა „შეგზავნა“ საჭირო. ამისთვის ფეხბურთელთა ენერჯის გაცილებით რაციონალური ხარჯვა იყო აუცილებელი. გარდა ამისა, ელემენტარულმა დაკვირვებამ მათ აჩვენა, რომ თავდასხმისა და დაცვის გაუთავებელ ჭიდილში უპირატესობა სულ მეტად და მეტად იხრება შემტევთაკენ. ყოველივე ამან მოაზროვნენი ლოკიკურად მიიყვანა სექსამდე, რომელიც რიცხვებით ასე შეიძლება გამოვსაზოთ: 1-1-8 ანუ მეკარე-მცველი-კიდევ ერთი ფეხბურთელი და 8 თავდამსხმელი. ასე გამოჩნდა ფეხბურთის მოედანზე პირველი ნახევარმცველი.

ახალმა სისტემამ მეტოქეთა შეტევა ერთობ გაართულა, რადგან მათ გზად ორი კი არა. უკვე სამი კაცი ეღობებოდა, რომელთაგან ერთი, მოედნის შუაში, აუთვისებელ ზონაში უჩვეულოდ ამოზრდილიყო.

აი, ამ დროს, 1866 წელს იცვლება ოფსაიდის წესი — ახალი ვერსიით თამაშვარეთა ფეხბურთელი, რომლის წინ სამზე ნაკლები მოწინააღმდეგეა.

ამრიგად, თავდამსხმელებს ერთგვარი უპირატესობა ეძლევათ, მაგრამ გულხელდაკრევილი არც დაცვაა, ის ვარიანტებს ცვლის.

1870 წელს მოედანზე სიასლეა: 1-1-2-7. შიდი თავდამსხმელიდან სამი ცენტრალურია, ორ-ორი კი ფრთებიდან უტევეს, ხოლო მცველები დაზღვევის გემოს ივებენ — მათ წინ უკვე ორი ნახევარმცველია, რომლებიც გარდა იმისა, რომ მოწინააღმდეგეებს მცველამდე მისვლაში უშლიან ხელს, შეტევის დროსაც თამაშობენ გარკვეულ დროს.

70-იანი წლებიდან ჩრდილო ინგლისის ქალაქების გუნდებში იწყებენ ტექნიკური ნოვაციის, თავური დარტემის დანერგვას. ისტორიკოსთა მტკიცებით, ქვეყნის სამხრეთში ეს ელემენტი დაახლოებით ხუთი



1872 წლის 30 ნოემბერი. ინგლისის ნაარაზი შოტლანდიისთან თამაშის წინ. მხატვარი უ. რელსტონი

წლის შემდეგ იკიდებს ფეხს.

მაგრამ ინგლისელებს კვლავ შოტლანდიელები სჯობნიან. ვლახოში იყო ასეთი გუნდი — „ქუინზ პარკი“, რომელმაც პირველმა განაცხადა უარი „დაარტყი და გაიქცის“ პრინციპზე. „ქუინზ პარკის“ მწვრთნელი დაფიქრდა და დაასკვნა: ბურთი გაცილებით სწრაფად მიფრინავს, ვიდრე ადამიანი დარბის, ამიტომ ლოგიკური იქნება, თუ ჩემს ფეხბურთელებს მეტოქეთა კარის დასალაშქრად წინ გადაადგილებას დრიბლინგით კი არა, მოკლე, დაბალი პასებით მოეთხოვ. მანვე მოიფიქრა მოთამაშეთა ადგილების ცვლის ვარიანტიც.

და აი, მივადექით მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში პირველ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას: 1872 წლის 30 ნოემბერი, ვლახო, პართიკის კვარტალი, „სკოტლანდ კრიკეტ კლაბის“ მიწდორი, „ვესტ გრაუნდი“.

შოტლანდში: გარდნერი, ტელიორი, კერი, ტომსონი, ჯ. სმიტი, მაკინონი, უიერი, კი, უოთერსპუნი, ა. სმიტი, რინდი
ინგლისში: მეიპარდი, გრინალფი, უელში, მედისონი, ბერკერი, ბროკბენგი, კლევი, ა. სმიტი, ოტვევი, გინერი, მორისი.

სქოთიებმა ამ შეხვედრაში შეუძლებელი შემდეგს, თვით ინგლისთან ითამაშეს ფრედ, 0:1. აღსანიშნავია, რომ ამის მერე, 1883 წლამდე ინგლისელთა და შოტლანდიელთა გუნდებს შორის სულ 12 თამაში ჩატარდა და მათგან 10-ში, ჰოი, საოცრებავ, სწორედ ჩრ-

დილოელებმა გამარჯვეს. მკვლევართა აზრით ამ გამარჯვებათა საფუძველი უკეთ გააზრებული ტაქტიკა გახლდათ.

ხსენებულ პირველ შეხვედრაში სქოთიებმა მორივ სიასლეს მიმართეს. მათ თავდასხმას კიდევ ერთი მოთამაშე მოაკლეს და მოედანზე 1-2-2-6 განლაგდნენ. ამასთან, მათი ორი მცველი და ორი ნახევარმცველი წარმოსახვითი კვადრატის კუთხეებში განლაგდნენ, რითაც მოწინააღმდეგის შეტევის ძირითადი მიმართულება, ფრთები გადაკეტეს.

ამრიგად, ინგლისელები ფაქტის წინაშე აღდგნენ — ისინი ტაქტიკურ განვითარებაში ჩამორჩებოდნენ. დრიბლინგის მნიშვნელობა პასმა დაჩრდილა, ხოლო თავდამსხმელთა რაოდენობის შემცირებამ შეტევას არაფერი დააკლო, სამაგიეროდ დაცვა გააძლიერა.

საქმეს ახალი ბიძგი პროფესიული ფეხბურთის შემოღებამ მისცა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მოდიფიკაციებით აღმზოთებულმა ბევრმა სამოყვარულო გუნდმა საერთოდ აიკრიფა გულანაბადი, ხოლო სცენაზე მაგანი ვაკისინის ინიციატივით შექმნილი გუნდი „კორინთიანსი“ გამოჩნდა. „კორინთიანსი“ იმ პერიოდის საუკეთესო სტუდენტ-მოყვარულებმა მოიყარეს თავი, რომელთაც ერთი მხრივ, დაარტყი და გაიქცის პრინციპზე კატეგორიული უარი განაცხადეს, ხოლო მეორე მხრივ, არც შოტლანდიელთა მოკლეპასიანი ფეხბურთის მიმდევრებად ჩამოყალიბდნენ. მათ მანამდე არსებული მიმდინარეობები შეაზავეს, რისთვისაც საკუთარი ოსტატობის გვარიანად დახვეწა მოუხდათ.

ტექნიკის განვითარებამ ახალი ტაქტიკური სისტემა 1-2-3-5 მოიტანა (თავდასხმას კიდევ ერთი მოთამაშე მოაკლდა), რომლის ფუფიმდებლად მკვლევართა უმეტესობა „არესტონ ნორს ენდს“ მიჩნევს — ამ გუნდში პასებში გაწაფული ბევრი შოტლანდიელი თამაშობდა — თუმცა, ზოგიერთი ისტორიკოსის მტკიცებით, მის სათავეებთან შესაძლოა „ნოტინგემ ფორესტი“ ან კემბრიჯის უნივერსიტეტის კლუბი ყოფილიყო. ასეა თუ ისე, 1-2-3-5-ის შემოღების თარიღად 1883 წელს მიჩნევენ, თუმცა მის შესახებ შემდეგმ წერილში ვისაუბროთ.

1887 წელი. ჰაროუს სკოლა. მხატვარი უოლტერი აოქსი



ჯველაფერში დაინაშაპეა დაინაშაპე



კახუნა კელია

ორიოდ სიტყვა ბარსელონაზე, რომელსაც ეს წერილი სულაც არ ეძღვნება: ვგონებთ, მკითხველი უკვე დაეწვია, რომ „ბარსელონას“ და ბარსელონას შორის განსხვავებაა. პირველი, ბრჭყალებში ჩასმული, ფეხბურთის გუნდია, დიდი და ისტორიული, მეორე, უბრჭყალებო კი ქალაქი, რომელსაც ეს გუნდი ეკუთვნის და, რომელიც, გულშემოტყვიერებთან ბოლიში და განუზომლად უფრო დიდი და ისტორიულია, ვიდრე პირველი. დამნაშავეც სწორედ ის იყო, ყოველ შემთხვევაში გარედან ასე ჩანდა.

... 1997 წლის დასაწყისში, ბარსელონაში საქველმოქმედო მატჩი გაიმართა მსოფლიო ვარსკვლავების მონაწილეობით. ეს თამაში ინგლისის ჩემპიონის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ გეგმებს ვერაფრით არ ევება და ამიტომაც კლუბის ხელმძღვანელებმა მათგან მიწვეული ორი ფეხბურთელი, ფრანგი ერიკ კანტონა და პოლანდიელი-ესპანელი ჯორდი კრუიფი ერთობ არხეინად გაუშვეს კატალონიის დედაქალაქში. ამ მოთამაშეთა მიწვევის მიზეზიც გასაგები გახლდათ: კანტონა მანჩესტერელთა გუნდის მთავარი ფიგურა, თითქმის თილისმა და ქომაგთა კერპი იყო, კრუიფი კი წარმოშობით ბარსელონელი, რომლის გამოჩენას მშობლიური ქალაქის საზოგადოება უთუოდ მიესალმებოდა.

კანტონა და კრუიფი ესპანეთს გაემგზავრნენ, საქველმოქმედო შეხვედრაში ითამაშეს და მანჩესტერში... განუყრელ მეგობრებად დაბრუნდნენ. რა ნახეს საერთო? ქალაქი, უბრჭყალებო ბარსელონა, სადაც ფრანგი ერთი ხნის მერე დასახლდა კიდევ ფეხბურთის თავი დაანება და...

თუმცა მოდი, ბარსელონას ზედმეტსაც ნუ დავაბრალებთ. ნურც კანტონასა და კრუიფის მეგობრობაზე გავაგრძელებთ სიტყვას. ისინი ერთმანეთის ნახვას თუ არა, ტელეფონით მოკითხვას მაინც უჩვენოდაც მოახერხებენ. ჩვენ კი გავისხენით როგორი სეზონი ედგა მათ გუნდს, ზემოხსენებულ „მანჩესტერ იუნაიტედს“.

იმ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მშობლიურ „ოლდ ტრეფორდზე“, ევროპის ჩემპიონთა თასის შეხვედრაში პირველი, ისტორიული მარცხი იწვნია. თან დიდი კლასური გუნდი რომელიმე ევროპულმა სტამბოლის „გლათასა“-მ შეძლევ, ჭრილობას მაინც ენტუსიაც“ მოაყარა. ... გვიყვარს „ოლდ ტრე-

ფორდზე“ დაახრეინა ამაყ „იუნაიტედს“ თავი. ჯგუფიდან მეთხედფინალში გასასვლელად მანჩესტერელებს ვენაში, ყინვიან საღამოს, „რაიდიის“ ძლევა სჭირდებოდათ, რაც მეკარე პიტერ შმაიხელის ვირტუოზული თამაშისა და რიო კინის გაგლეჯილი მუხლის წყალობით და ფასად შეძლეს.

იქ, მეთხედფინალში „იუნაიტედს“ წილისყრამ ჯგუფურ ტურნირში დაუმარცხებელი „პორტუ“ შეახვედრა. აღსანიშნავია, რომ პორტუგალიელები შეჯიბრებას შემორჩენილ რვას შორის ერთადერთნი გახლდნენ, რომელთაც წაგების სიმწარე არ ეგემათ. ეს იყო ბრაზილიელი მოთამაშეებით დაკომპლექტებული ერთობ ძლიერი გუნდი, რომელთან გამარჯვებისაც საკუთრივ მანჩესტერშიც ეეჯებოდით.

მაგრამ, „იუნაიტედის“ მწვერთელმა, ალექს ფერგიუსონმა პირველი შეხვედრის წინ სამხრეთელ სტუმრებს სიურპრიზი მოუშადა. მან იგრძნო, რომ იმ დღეს გადამწყვეტი როლის შესრულება რაიან გიგზს შეეძლო, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვეულ პოზიციასზე, მარცხენა ფრთაზე არ ითამაშებდა. კიდევ ფერგიუსონი მიხვდა, რომ მის გუნდს აუცილებლად სამი თავდამსხმელი უნდა შეეტია და ამ ტრიოს უკან კანტონა მდგარიყო. ფეხბურთელთათვის კი

მწვერთელის დაგალება მარტივად ჟღერდა: მაწოდეთ ბურთი კანტონას, ხოლო გიგზს ცენტრფორვარდების, სოლსკაიერისა და კოულის აუთვისებელ ტერიტორიაზე ადგილის შერჩევაში ხელს ნუ შეუშლით.

4:0 — ასე დამთავრდა შეხვედრა „ოლდ ტრეფორდზე“. საპასუხოში გოლი არ გასულა. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ნახევარფინალში გააღწია და მეტად მიუახლოვდა მიზანს, ჩემპიონთა თასს, რომელსაც ოდესღაც, 1968 წელს, ჯორჯ ბესტის, ბობი ჩარლტონის და დენის ლოუს დიდი თაობა ფლობდა.

ოცნებასთან მიახლოებამ კი სხვა შეჯიბრებები, მაგალითად ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასი ფრად დაჩრდილა. მის მეთხედვებაზე „უიმბლდონთან“ საპასუხო შეხვედრაში დამარცხებამ მანჩესტერელებს მაინც და მაინც არ დაწვევია გული.

პრემიერლიგაში კი საქმე ასე იყო: სეზონის დასაწყისში, 1996 წლის ოქტომბერში, ერთ კვირაში „იუნაიტედმა“ ნიუკასლში 0:5, ხოლო „საუთჰემპტონთან“ 3:6 წააგო. ამის შემდეგ „ოლდ ტრეფორდს“ ლონდონიდან „ჩელსი“ ეწვია და ზედ 2:1 დააყოლა მოკლედ, ხუთ სეზონში ჩემპიონის ტიტულის მეთხედ მოპოვების სურვილს თითქოს წყალი შეუღდა. გაისმა კრიტიკა. გუნდის ხელმძღვანელობას გამოუცდელი ახალგაზრდების, დევიდ ბექემის, ნიკი ბათის, პოლ სკოულხის, რაიან გიგზის და ძმების, გარი და ფილ ნევილების ზედმეტ ნდობაში სდებდნენ ბრალს, მაგრამ ფერგიუსონს თავისი ვაწვევილებისა სწამდა.

მართლაც, როგორც მერე გაირკვა, კრიტიკოსები ცდებოდნენ. „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ხსენებულ წაგებათა სერია (ჯამური ანგარიშით 4:13) თექვსმეტმატჩიანი დამარცხებელი სვლით შეცვალა, რომელიც, მართალია გაზაფხულზე „სანდერლენდმა“ შეუწვევია — 2:1, მაგრამ ეს მარცხი „პორტუსთან“ გამარჯვების ეიფორიით აიხსნებოდა. აკი ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ჩემპიონთა თასის ფინალთან მიახლოებამ სხვა შეჯიბრებები გააუფერულა.

თუმცა, პრემიერლიგის ბოლომდე გახუნება შეუძლებელი გახლდათ და მანჩესტერელებმა, საბოლოოდ, მაინც შეძლეს 45 ქულით პირველი ადგილის დაკავება — მღვერებს 7 ქულით გაასწერეს...

ოცნებასთან ახლოს

... ნახევარფინალი. დორტმუნდი. „ბორუსია“ — „მანჩესტერ იუნაიტედი“ 1:0. თამაშის წინა საღამოს, ვარიანტი კოსტისა

ერიკ კანტონას ცვილის ფიგურა მონტრონის „მალა ბიუსოს“ მუზეუმში



ინგლისის ჩემპიონს ცულ ნიშანს აძლევს — პიტერ შმაიხელი და დევიდ მეი დაშა-
ვდნენ. კაცმა რომ თქვას, განა მათმა
შემცვლელებმა, რაიმონდ ვან დერ გოლმ
და რონი იონსენმა ცულად ითამაშეს? არა,
მაგრამ... და განა „იუნაიტედს“ გოლის
გატანა არ შეეძლო? შეეძლო, მაგრამ...
მაგრამ, მოხდა საოცარი რამ. მას შეტევა-
ში სიმწვავე აკლდა, კანტონა უკოლოდ
დაიხლავდა.

ფერგიუსონი ივლებს: „საკუთარ თავს
ვეკითხებოდი, მასთან ურთიერთობის ჩემე-
ულ მეთოდში რაიმე წუნი ხომ არ გამო-
ჩნდა-მეთქი. წესად კანტონასთან საუბარი
მქონდა შემოდებული, მით უფრო მაშინ, რო-
დესაც ის ჩვენს გუნდში ახალი კაცი იყო
და მაშინაც, როდესაც რვათვიანი დისკვა-
ლიფიკაციის შავი პერიოდი ედგა. იგი პი-
რად ურთიერთობას დიდად აფასებდა. გერ-
მანიიდან დაბრუნების შემდეგ აძლიერდა გა-
მინდა ეკვი: ხომ არ მოუუკელი მასთან
შეხვედრებს?... კრიტიკოსები წერდნენ, რომ
მას დიდ საერთაშორისო შეხვედრებში გა-
ბრწყინების ნიჭი არ ყოფნიდა, მაგრამ მე
ამ მოსაზრებას ვერ ვეთანხმებოდი, რადგან
ევროპულ მატჩებში მისი საუცხოო თამაში
მჩანდა. ერთი რამ კი უნდა ვაღიარო, ამ
კაცში იყო რაღაც, ალბათ მენტალური მუ-
ხრუჭი, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო
ფეხბურთელად გახდომის საშუალებას არ
აძლევდა. მწამს, შეეძლო ასეთი სტატუსის
მიღწევა, მაგრამ ხასიათის რომელიღაც ელე-
მენტი უდიდესი ნიჭისა და პოტენციალის
გამოყენებაში ზღუდავდა“.

... საპასუხო მატჩი. მანჩესტერი. „მანჩე-
სტერ იუნაიტედი“ — „ბორუსა“ 0:1. გერ-
მანელები კვლავ იმარჯვებენ. განა მასპი-
ნძობებს არ შეეძლოთ ამ თამაშის მოგება?
მათვე თუ ვენდობით, სულ მცირე თხუთმე-
ტჯერ ჰქონდათ გოლის გატანის შესაძ-
ლებლობა, მაგრამ ბურთი სტუმართა მო-
ჯახობებულ კარში არ შედიოდა. კანტონა?
მისი სიზნანტე კვლავ გაოცებას იწვევდა.
გულგრილობა, რომლითაც ის შეხვედრის
ყოველ ეპიზოდს ეკიდებოდა, რამდენიმე
თვის წინ წარმოუდგენელი გახლდათ.

ფერგიუსონი: „საიდუმლოებათა მოტრ-
ფიკაციები ამბობდნენ, რომ კანტონას დაძა-
ბუნება მისი და ენდი კოულის ურთიერთ-
ზიზღის ბრალი იყო. ვერც ამ აზრს გავი-
ზიარებ, თუმცა ის, რომ ხელსაყრელ მი-
მენტთა ფლანგვაში მათ ლომის წილი მი-
უძღოდათ, ნამდვილია. შესაძლოა მოედანზე
ერთმანეთისა არ ემსოდათ. იქნებ, ჯერ კი-
დეც „იუნაიტედს“ შეუჩვენებელი ენდი ფრა-
ნგის მხარდამხარ თამაშის დროს ნერვიუ-
ლობდა, მაგრამ როგორც ერთი, ასევე მე-
ორე მშვიდად მოაზროვნე, სანდო ადამია-
ნია. მე თუ მკითხავთ, კოული ძნელად
ამოსაცნობი კაცია, თუმცა მისი ერთგუ-
ლება ეკვარეშეა. ის კარგად მაშინ თამა-
შობს, როდესაც საკუთარი თავის რწმენი-
თა სავესად გრძობს, რომ ჩემნაირ ადამი-
ანებს მისი სწამით, რაც შეეხება ერიკ
კანტონას, მას რომ პირადი ინტერესის
გამო გუნდის გაწირვა შეეძლო, ერთი წა-
მითაც ვერ დავიჯერებ“.

ორჯერ პირისპირ

დამთავრდა. ყველაფერი დამთავრდა. ოც-
ნება დამისხვრა. „მანჩესტერ იუნაიტედი“
ჩემპიონთა თასის ფინალში ვერ გავიდა...
... რომ შემდგომად საპასუხო თა-
მასთან შეხვედრის ერიკ კანტონა აოუქს



1995 წლის იანვარი. „არისტალ პალუსის“ გულშემატკივრება
ერიკ კანტონას ტრიბუნაშიან მათგინა...

ფერგიუსონთან შეხვედრას ითხოვს. მწვრთ-
ნელი კი თანდათან ხვდება ვარსკვლავის
უცნაური შეცვლის მიზეზს. მან თითქოს,
უკვე წინასწარ იცის რაზე იქნება საუბარი.
„რატომ გადაწყვიტე 30 წლისამ ფეხ-
ბურთის თამაშს თავი დაანებო?“ — ეკით-
ხება ის.

კანტონას პასუხი ბუნდოვანია. ამბობს,
რომ ფეხბურთისთვის რისი ვალდებაც შეე-
ძლო, ყველაფერი გაიღო და ახლა ცხოვ-
რების ნირის შეცვლას აპირებს.

„კარგად დაფიქრდი, ერიკ ასეთ გადაწყ-
ვეტილებას შესაძლოა სერიოზული შე-
დეგი მოჰყვეს“ — დამრიგებლური ტონით
ეუბნება ფერგიუსონი — „გერჩევ მამა-
შენს დალაპარაკო, რჩევა ჰკითხო და გა-
ითვალისწინო“.

ერიკისთვის მამა მნიშვნელოვანი ადამი-
ანია. მას შეუძლია აზრი შეეცვლინოს
და მწვრთნელიც ცდილობს საქმე აქეთკენ
წაიყვანოს, მაგრამ...

ფერგიუსონი დარწმუნებული გახლდათ,
რომ მის გუნდს ახალგაზრდა მითამაშეთა
ხელში დენდი მომავალი ელოდა, თუმცა
კანტონას ამბავი აეჭვებდა. ფრანგი „იუნა-
იტედის“ ლიდერი იყო და მის წასვლას
შეიძლებოდა სერიოზული დაბრკოლება გა-
მოეწვია. დორტმუნდის „ბორუსასთან“ წა-
გებული ნახევარფინალის შემდეგ კი კან-
ტონას თვალბეჭდით დღითიდღე მკრთალდე-
ბოდა გამარჯვების ან, თუ გნებავთ, უბრა-
ლოდ თამაშის სურვილი.

იქნებ ის მართალია. იქნებ ვარსკვლავი
მართლაც მანამდე უნდა წავიდეს, სანამ
მის ათლეტურ სხეულს ქონის ფუნები და-
ეტყობა? — ეკითხებოდა მწვრთნელი სა-
კუთარ თავს.

კითხვები ვარაუდი... ერიკ კანტონა კი
წუთითაც აღარ ჰგავდა იმ კაცს, რომელმაც
უცხოეთში იმეფა, ადგილობრივებს აჯობა
და იქური საზოგადოების გმირად ქცა.

... სეზონი დასრულდა. ფეხბურთელმა ფე-
რგიუსონთან შეხვედრა ითხოვა. მწვრთნე-
ლმა მდივნის პირით თანხმობა შეუთვალა.

ისინი სასტუმროს ოთახში, ერთმანეთის
პირისპირ დასხდნენ. აშკარა იყო, საუბრის
დაწყება ორივეს უჭირდა. ბოლოს ინიცია-
ტივა მწვრთნელმა გამოიჩინა, რადგან მო-
თამაშის სახეზე ყველაფერი ამოიკითხა.
ფერგიუსონის წინ პორტსმენი აღარ იჯდა
და ეს მის ყოველ ნაკვთს, თითოეულ მო-
ძრაობას ეტყობოდა. ფეხბურთიდან წასვლა
გადაწყვეტილი იყო. მხოლოდ საუბარიდა
დარჩენილიყო.

და აი, ბოსმა კვლავ კითხა მიზეზი. კან-
ტონას ზოგადი საუბარი აღარ წამოუწყია.
„მიზეზი ორია. ერთი ის, რომ ბოლო დროს
კლუბის მექანიზმში თავს ჭანჭიკად გვრძობ,
მეორე კი ის, რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“
მოთამაშეთათვის დიდი ხელფასების გაცე-
მა არ უყვარს“ — უპასუხა მან.


გავიდა ხანი და ფერგიუსონი საკუთარ
თავს გამოუტყვდა, რომ ფრანგი ორივე სა-
კითხში მართალი იყო. ისე, მისი მოტივე-
ბის გაგება, ვკონებთ, არც სხვათათვის
უნდა ყოფილიყო ძნელი. წუთით დაფი-
ქრდეთ: კაცი, რომელსაც წლებს განმან-
ლობაში ნიჭი და ენერჯია არ დაუზოგავს,
ერთ მშვენიერ დღეს ხვდება — მიუხედა-
ვად იმისა, რომ მთელი შოუ მასზეა აწყო-
ბილი, მრავალმილიონიანი ბიზნეს-მანქა-
ნის ჭანჭიკად ქცეულა და თან, სახელფა-
სო პოლიტიკის, ფონდის თუ რაღაც ამგა-
რის გამო ხელგამშლით არც უხდია.

ერთი სიტყვით, დადგა დღე, როდესაც
ერიკ კანტონამ გაიღვიძა და მიხვდა: ის ის
პატარა ბიჭი აღარ იყო.

და მან შოუ შეწყვიტა
ხოლო „მანჩესტერ იუნ-
ვარსკვლავი კი არა,
გარედან კი დანაწი-
ბარსეოლია“.

სხვადა

REUTERS



ჰერმან მაიერი მსოფლიოს თასს საყვარელი ძალივით ჩაკვრნება

ქვაკაცი

დავით გულა

ოგი ხელობით კალატობია და სახეც ქვისგან გამოთლილს უგავს — გერმანულად მკაცრი, შეუპოვარი და უხეშიც, ოღონდ კალატობა ჰერმან მაიერის ნამდვილ მონოდებასთან არაფერ შუაშია. მისი ცხოვრება თხილამურებით იწყება და თხილამურებითვე მთავრდება...

ორი წლის იყო მაიერი, როცა მამამისმა, ავსტრიული ზალცბურგიდან 70 კილომეტრით მოშორებული ფლაჰუს სა-თხილამურო სკოლის მენეჯერმა, თხილამურებზე შეაყენა და ზურგში ოდნავ უბიძგა. ის დღე იყო და მაიერი და თხილამურები განუყრელნი შეიქნენ. ხუთი წლისა პირველად გაეჯიბრა ბევრად უფროსებს, ხოლო 15 წლისას ცხოვრებამ გამონდევდა მოუწყო: ექიმებმა მაიერს იშვიათი დაავადება დაუდგინეს და თხილამურებზე ფიქრიც აუკრძალეს, მაგრამ რალა თევზი უწყლოდ და რალა... სწორედ მაშინ გახდა კალატობი და ამ სპეციალობით მუშაობაც დაიწყო, ოღონდ ექიმთაგან მალულად თხილამურებით სრიალი არასოდეს შეუწყვეტია. თავიდან ნაკლებად ჩანდა. ავსტრიაში რჩეული მოთხილამურე იოლად ვერ გახდებოდა. აკი მსოფლიოს სამთოთხილამურობის მამებიც კარგახანია ჩივიან, ეს საქმე ლამისა ავსტრიის შიდა პირველობად იქცევს. მაგრამ დადგა 1997 წელი და მაიერი ყველასგან გამოირჩა. 23 თებერვალს მსოფლიოს თასზე პირველი ეტაპი მოიგო, ხოლო მომდევნო სეზონი ათი გამარჯვებით, ორი მეორე და ხუთი მესამე ადგილით წაამთავრა და ცხადია, საერთო ჩათვლაშიც დიდი უპირატესობით მოიგო.

ნაგანოს ოლიმპიადაზე კი უკვე საბოლოოდ გაფორმდა ლეგენდარული იტალიელის, ალბერტო ტომბას მზის ჩასვენებისა და მის ადგილზე ახალი ლეგენდის მოსვლის ფაქტი. არადა იაპონიაში ავსტრიელი კატასტროფის წინაშე იდგა: უთვალავ მაყურებელს კრიჭა შეეკრა, როცა სწრაფდამგებისას მისი გარეგნულად საშინელი ვარდნა იხილა. 120 მეტრამდე იგორავა მაიერმა დიდი სიჩქარით და რომ ეგონათ, ძვალი აღარ შერჩა მთელი, არხინად ნამოდგა ფეხზე. ამასთან, არაერთი შიში! სამი დღის შემდეგ სუპერგიგანტი მოიგო და კიდევ სამ დღეში გიგანტური სლალომის ოლიმპიურ ოქროსაც დაეპატრონა. „ჰერმინატორი“ პირველად მაშინ დაუძახეს. „მაიერის სასრიალო სტილზეც“ პირველად მაშინ ალაპარაკდნენ, რაც ციკაბო სამთო ტრასებზე გიჟურ სრიალს და უახლოესი მდევრის ხანდახან მთელი წამით (!) ჩამოტოვებას გულისხმობდა.

როცა 1999 წლის სეზონში მაიერს ნო-

რვეგილმა ლასე კიუსმა აჯობა, ეჭვადაც არავის გაუვლია ავსტრიელის უძლიერესთა სიიდან ამოღება და სამართლიანადაც: წლეგანდელ სეზონში მაიერმა მოიგო თითქმის ყველაფერი, რისი მოგებაც შეიძლებოდა: სამი პატარა ბროლის გლობუსი სწრაფდამგებში, გიგანტურ სლალომსა და სუპერგიგანტზე გამარჯვებისთვის, ერთიც დიდი — მსოფლიოს თასი. კიდევ კარგი, „ჰერმინატორს“ სლალომი რომ ეჯავრება, თორემ ისიც რომ მოეგო, აბსოლუტური რეკორდის პატრონი გახდებოდა, რაც აქამდე არავის დაუმყარებია, ახლა კი ჯილდოების რაოდენობით მან მხოლოდ გაიმეორა დიდებული შვეიცარიელის, პირმინ ცურბრიგენის ცამატი წლის წინანდელი მიღწევა. სამაგიეროდ, მაიერი სწორუპოვარი იყო რეკორდებში. მიერ დაგროვილი 2000 ქულა ხომ სეზონის დასრულებამდეც კარგა ხნით ადრე აღემატა შვეიცარიელი პოლ აკოლას 1699 ქულიან მიღწევას, ხოლო იტალიური ბორმოს ფინალურ ეტაპებზე მოგებულ სუპერგიგანტს ხალხი პირდაღებული შეჰყურებდა. თითქოს ქვე ვარდებში „ჰერმინატორისგან“ ტრასის დანყება და დამთავრება ერთი იყო. მეორე შედეგი უჩვენა ავსტრიელმა ფრიც შტრობლმა და იგი მაიერისაზე 1,91 წამით მეტი იყო. ამგვარი რამ სამთო თხილამურობის ისტორიას არ ახსოვს.

ახლა მაიერი ფლაჰუსშია, ველოსიპედით და მოტოციკლით დაქრის, კლდეებზე დაცოცავს, თევზაობს და გოლფს თამაშობს (მისი საყვარელი საქმეები ჩამოვთვალეთ), ხანდახან კალატობს და ხანდახან სულიერადაც მადლდება: კვირაობით ფლაჰუსს საექლესიო გუნდის გალობას უსმენს და ინგლისურში მეცადინეობს, ოღონდ უმეტესად სულ მომავალ სეზონზე ფიქრობს, რომელშიც მეტის მიღწევა განუზრახავს. მასზე ამბობენ, დახვეწილობა და წესიერება აკლიაო. ერთიორჯერ გალემილი უნახავთ, ზოგან ავსტრიული მთიულურის ხმამალა მღერით ხალხის შემწუხებელი და, ზოგანაც ნავის ურნებთან მებრძოლი, მაგრამ ამგვარ რამეებს ათასი და ათი ათასი აკეთებს, უზრალოდ ხალხი მაიერისას ხედავს, რადგან 27 წლისა იგი უკვე ლეგენდაა, სამთო-სათხილამურო სპორტის ცოცხალი ლეგენდა...



ჭრელი პრეზენტაცია

10 თვისიდან 2 აგვისამდე ბელგიის და პოლანდიის სტადიონებზე ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი გაიმართება. ამ დიდი ფესტივალისთვის კმზადებას თრგანისატორები, ფეხბურთელები, მწვრთნელები, ქომაგები, პოლიციელები, მუნდლისტები, ექიმები და, რაოდენც ფოტოიან ხანს, თუნქებიც უფრო სწორად თუნქები მზად არიან. მათ თავიანთი ქვეყნების ეროვნულ ნაკრებთა ოფიციალური ფორმები უკვე შეუკრფათ და 24 მარტს, „ამსტერდამ არენაზე“ მოყვარულ ფეხბურთელებს ტანზე მთარგმული საჯანოთდ გამოუყენიათ.

ასსპა

რეკორდების წვიმა ათენში

დენში, 16-დან 19 მარტამდე რეკორდების კოკისპირული წვიმა მოდიოდა. იქ მოცურავეთა მსოფლიო პირველობა გაიმართა, რომელიც ელინებმა 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მნიშვნელოვან რეპეტიციადაც აქციეს ელინებმა და ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაც უმაღლეს მოკვეთეს — სატრანსპორტო საცობები, საბერძნეთის დედაქალაქისთვის კვლავ დამახასიათებელია. აღარ მოეცვებოთ იმაზე, როგორ აპირებენ ბერძნები ხსენებული გასაჭირის დაძლევას, იქნებ სულაც ვერტმფრენებით გადაიყვანონ სპორტსმენები სასტუმროებიდან დანიშნულების ადგილამდე, თუმცა რა დროს ეს არის... სხვა რამე იყო ათენში ბევრად საინტერესო; მსოფლიოს არც ერთ ჩემპიონატს არ ღირსება ამდენი რეკორდი. რეკორდები მყარდებოდა და ბევრი მათგანი უკვე მომდევნო დღეებში ან სულაც საათებში ემხოზოდა. 15 უმაღლესი დრო დაფიქსირდა ათენის საცურაო აუზში და მათგან უეჭველად ამერიკელი ნეილ სკოტ უოკერის გამაოგნებელი შედეგები გამოირჩა. უოკერმა გულაღმა ცურვით დაინყო, 16 მარტს 50 მეტრზე პირველი სარეკორდო შედეგი უჩვენა (24,04 წმ); არ გასუ-



კრიკენული
მსოფლიოსა
REUTERS

მკალი ქალთევაზ ბარეზა ალსამარი

ლა ხუთი საათიც და ახლა 23,42 წამამდე ჩამოვიდა. ყოველ მომდევნო დღეს ამერიკელმა თითო მსოფლიოს რეკორდი შეძლო: 17-ში გუნდურ 4 200 მეტრიან ესტაფეტაზე, 18-ში, 100 მეტრზე კომბინირებულ ცურვაში და ჩემპიონატის ბოლო დღეს ისევ გულაღმა, ოლონდ 100 მეტრიან დისტანციაზე, აუზის იქეთ-აქეთ ოთხჯერ გადალახვას რომ მოითხოვდა.

ამგვარი სტრიქონების შემდეგ უხერხული სათქმელია, მაგრამ ისიც უნდა ვახსენოთ, რომ ამერიკელმა სართად ორი ვერცხლის მედალიც ირგუნა. იანკების უპირატესობა გუნდურ ჩათვლაშიც მეტად გამოჩნდა. 9 ოქროს, ამდენივე ბრინჯაოსა და შვიდი ვერცხლის მედლის ნახევარც თითქმის ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ დააგროვა, შედეგის დე გერმანიის გამოკლებით. სკანდინავიელების წარმატების მთავარი შემოქმედი, ლარს

ფროლანდერი შეიქნა, რომელმაც ელადაში რეკორდების ათეღა დაინყო. ფროლანდერს თურმე ყველაზე მეტად პეპელასებრი ცურვა ჰყვარებია. სწორედ ბატერფლაიში დაამყარა პირველი მსოფლიოს რეკორდი, 100 მეტრზე ცურვისას, თუმცა ამ მიღწევამ დიდხანს ვერ იბოგინა, იმავე ფროლანდერმა 24 საათის შემდეგ წინაზე წამის თხუთმეტი მეასედით ნაკლები დრო მოანდომა იმავე დისტანციის ვაცურვას, ხოლო ჩემპიონატის ფინიშზე, 50 მეტრიანი გზის უმაღლეს მიღწევასაც ჩამოაშორა გარკვეული ციფრები. კიდევ იყო ფროლანდერის ერთი სარეკორდო გმირობა, ამხანაგებთან ერთად 4 100 მეტრიან ესტაფეტაზე ჩადენილი. აქვე შვედ ქალთევაზზე ტერეზა ალსამარზეც ვთქვათ. მან ორი მსოფლიოს რეკორდის გარდა, აშოლტილი ტანფეხითაც დააღებინა ბერძნებს პირი.







ბემ! ბემ! ბემ!

ბრძოლას უწრების მხარდსაჭერად

გიორგი ახვლედიანი

საქართველოს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიჭირა ევროპულ ფეხბურთში, რომელსაც ხან მეორე ექვსი ერი ერქვა, ხანაც ევროპის ეროვნებათა თასი.

ბოლო სათამაშო დღემდე, საქმე ისე იყო, რომ საქართველოს ამ შეჯიბრების მოგებაც ხელუწევროდა, მაგრამ თავის ისტორიაში პირველად წააგო თბილისში, მარადიულ მეტოქესა და კონტროლიორთან, რუმინეთის ნაკრებთან და საქმე შემოუჭრიალდა.

ეს რუმინეთი ნამდვილი ჯებირია ქართველებისთვის.

არა, „ბორჯღალოსნებს“ ბევრ ისეთთანაც წაუგიათ, რუმინეთი კი არა, თბილისის რომელიმე გამართული გუნდი რომ აჯობებდა, მაგრამ აქ საქმე სხვაშია. საქართველომ წამოიწყო სანაკრებო თამაშის პოლიტიკა და ამ საქმეს მეტად სერიოზულად უდგება. ჯერჯერობით გადაწყვეტი ბრძოლის წაგებულა და ერთი დიდი ნაბიჯი არ გადადგმულა, მაგრამ თუკი სადმე რთული ერთი დიდი ნაბიჯის გადადგმა, სწორედ რაგბიში.

ჩვენის მოკლე გაგებით თავიდათავი იმისა, რომ საქართველო მაინც დამარცხდება ხოლმე, უფრო ზოგადსაქვეყნო გახლავთ. რაგბი როგორც ერთი ნაწილი ცხოვრებისა, ქვეყნის ბედსა ჰკიდია. ქვეყანა კი, მოგეხსენებათ ისეთი გამოგვაგდა, რომ ყველაფერი შესაცვლელი აქვს. გაზეთის ჯიხური რომ ავიღოთ, ისიც კი ახალი ჩასადგმელია, ვინაიდან ძველი ჯიხურები ათ-თორმეტ გაზეთზე იყო გათვლილი. სანაკრებო რაგბიც, ცხადია, რომ ახალ რელსებს დაეძებს და ალბათ ყველაზე სწორად მთელს ქვეყანაში.

თბილისში ერთი უელსელი ჯეელი მსახურობს, სახელად გრეჰემი. კაი მოსული ბიჭია და თუ საერთაშორისო რაგბია, სტადიონზე წავეყრებით ხოლმე ერთმანეთს. გრეჰემი დიდად გარკვეული კაცია რაგბიში და აქ იმის ერთი შეხედულებასაც მოგახსენებთ — დიას, ბრძოლისუნარიანი და ვაჟკაცური გუნდი ბრძანდება, მაგრამ ყველაფერს ჯიქურ მინოლთა ცდილობს. ამის დასტურად

გრეჰემმა ხელისგული გაშალა და მეორე ხელის მუშტი დასცხო: „ბემ! ბემ! ბემ!“ აი, ასე სურთ ლელოში შეღწევა.

გრეჰემმა, დიასაც, ამოიკნო ჩვენი რაგბის ოდინდელი სტილისა და მთავარი კაი თვისების — ჯანის რაობა.

მაგრამ ისიც კარგად თქვა, რომ სხვა გზებზეც არსებობს.

ათნეულობით ჩამოყალიბებული ადათი თამაშისა დღეს იცვლება. მესაქე კლოდ სორელი ცდილობს, ქართველთა საუკეთესო თვისებას ათასი რამ შემატოს. აქ ისევ მიუზბრუნდებით საქვეყნო ამბავს. ვითომ რაღაცას წამოიწყებენ ხოლმე, მაგრამ თუ გაჭირვება დაატყვევს, ისევ ნაცად, გათელილ ძველ ბილიკს გაუყვებიან. ჩვენს მორაგბეთაც, გაჭირვების უამს ისევ ის ძველი დაჰქაჩავთ ხოლმე. ახლის ფიქრს მოეშვებიან, გაუშვი ისევ იმას მივდიოთ, ძველსა გზასაო.

ეს არის გზა თავდადებული, თავდაუზოგავი, მაგრამ ჯიქური. ანუ, კედელზე შუბლით მისვლისა. სადღაც დაიკარგება ხოლმე ახალწასწავლი ხერხები ამ კედლის შემოვლისა.

სპორტულ ენაზე ამას გამოცდილება ჰქვია. გამოცდილება მოდის, თუმც კი წელა. როდესაც განსაკუთრებულ ნერტილს მიაღწევს, იქ შემოქმედებაც მოვა და ნიჭი სულ სხვაგვარად გაიფურჩქნება. ოღონდ, ამ სვლას წინ არ უნდა გადავდებოთ საბჭოურ აზრებითა და მოქმედებებით, რომელთა არსიც გრეჰემს არ ესმის.

საქართველო ახალგაზრდული გუნდია და ამას ხასიათშიაც გამოაჩენს ხოლმე. ეს დიდი იმედია. მალე, ალბათ, მოვა მახვილგონიერება. რაღაც იმის მსგავსი, რაც ლატაკი ტონგის სახელით მოთამაშებმა გვიჩვენეს შარშან ამ დროს. ცხადია, ის სხვა სულა და სხვა უნარი, მაგრამ ჩვენი ნილი მახვილგონიერება ხომ უნდა გამოვავლინოთ?

აი, რუმინეთი რა მოქნილი იყო. აღვნიშნეთ, ნაბიჯი მხელიაო, მაგრამ მას ბევრი რამ ამავრებს. მაყურებელმა სანაკრებო რაგბისკენ გამოინია. ბარე ორმოცი ათასი კაცი იყო თავმოყრილი სტადიონზე და ქომაგობდა ალაღად, თუმც კი, ხშირად არსის

უცოდინრად, აქ უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ფეხბურთიდან მოსული მაყურებელია და თამაშის ალქმაც იქედან გადმოაქვს. ჩვენი წესი კი ასეთია: თუ გუნდს წინ წაუხდებ და ერთი-ხანობა ვერაფერს ახერხებს, მაყურებელი დადუმდება და თავისიანთა ლანძღვას იწყებს. თუ ფზა გამოაჩინე, ცაში აგყვანს. თუ ბურთი მონინაღმდევს მოაქვს, ხომ ხელჩაქეულია და ხელჩაქეული.

და მაინც, რაც სტადიონზე ხდება, ალალია. ეს ხალხი უკვე შემოკრებილია სანაკრებო რაგბის გაჩვენება. წარმოუდგენელია მისი დაკარგვა და არ მოფრთხილება, რადგან მისი ხმა გულიდან ამოსული ხმაა. და რა სისულელედ ჩანს, როცა იტყვიან, რაგბი ჩვენი საქმე არ არისო?

ჩვენი საქმე რომაა, უკვე დამტკიცებულია.

ახლა ის უნდა დამტკიცდეს, რომ ჩვენს საქმეს სხვაზე უარესად არ ვაკეთებთ.

საქართველოს ნაკრები იბრძვის ამის დასამტკიცებლად, უჭირს, ოფლსა ღვრის, მაგრამ ნაბიჯს წინ დგამს და არა უკან.

ეს კი რაგბი, ო-ჰო-ჰო-რამდენს ნიშნავს. გრეჰემაც ამას ამბობს, მოვა დრო და მოუგებთ რუმინეთს — ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. ოღონდ მანამდე ოფლია დასალერული. უნდა ვითმინოთ და ვინვალით. სხვანაირად... არ გვირბა სხვანაირზე ლაპარაკი.

პერონის პერონეპათა თასი	
A ჯგუფი	
6.02	ესპანეთი 33:8 პოლანდია პორტუგალია 30:32 საქართველო
20.02	პორტუგალია 21:19 ესპანეთი პოლანდია 10:39 რუმინეთი
4.03	ესპანეთი 36:32 საქართველო რუმინეთი 33:3 პორტუგალია
19.03	რუმინეთი 25:8 ესპანეთი საქართველო 41:8 პოლანდია
2.04	საქართველო 20:23 რუმინეთი პოლანდია 13:11 პორტუგალია
რუმინეთი	4 4 0 0 120:39 8
ესპანეთი	4 2 0 2 94:86 4
საქართველო	4 2 0 2 125:95 4
პოლანდია	4 1 0 3 37:124 2
პორტუგალია	4 1 0 3 65:97 2

გიორგი ახვლედიანი (80-18 გვირდო) და ბადრი კატილაძის ფოტოგრაფი

19 მარტს ბორჯალოსნებმა ჰოლანდიელებთან იოლად გაიხირონ, 2 აპრილს კი რუმინელებთან ჰერას გახლენ





ინგლისი: ავროპული რაგბის ექვსისთავი

ექვსი ერის წლებადღეობა პირველობამ დიდი სლემიც უპატრონოდ დატოვა და ხის კოვზიც პირველი, იმისა, დამარცხების სიმწარეს ერთხელაც რომ არ გამოცდის, მეორეს კი უკლებლივ ყველა წაგების პატრონს მიაჩქებენ. ბოლო ტურამდე სასახელო და უსახელო ჯილდოსაც პოტენციური პატრონები ჰყავდა, ინგლისს ოთხივე თამაში მოეგო, შოტლანდიას კი იგივე ციფრი წაგებათა გრაფაში ესწრა. და აჰა, 2 აპრილიც, სქოთური „მარიფილდის“ სარბიელი და უძველესი სარაგბო დაპირისპირება: შოტლანდია — ინგლისი, პირველთაღვის თავსლაფის არდასხმის ბოლო მანსი, ხოლო მეორესთვის დიდი სლემის მოპოვების ჩინებული საშუალება პირველობის მოგებასთან ერთად.

თამაში სასტიკი იყო. „მარიფილდზე“ ცა ფუნად ჩამოდიოდა. თავსხმა წვიმაში შოტლანდიამ 19:13 მოიგო, ხის კოვზს გადაურჩა, კალკუტის თასსაც დაეუფლა, თუმცა იტალიასთან ერთად ჯგუფის ფსკერი გაიყო. თავში კი ინგლისია, რახან წინაღუეს უელსმა ირლანდიას მოუგო, ხოლო ფრანგთაგან იტალიელთა დაჯაბუნას ჩემპიონობის ამბავში არაფრის შეცვლა არ შეეძლო.

5	თებერვალი	კარდიფი თეიქსემი რომი	უელსი ინგლისი იტალია	3:36 50:18 34:20	საფრანგეთი ირლანდია შოტლანდია
19	თებერვალი	პარიზი დუბლინი	საფრანგეთი ირლანდია	9:15 44:22	ინგლისი შოტლანდია
4	მარტი	კარდიფი დუბლინი თეიქსემი	უელსი ირლანდია ინგლისი	47:16 60:13 46:12	იტალია იტალია უელსი
18	მარტი	მარიფილდი კარდიფი რომი	შოტლანდია უელსი იტალია	16:28 26:18 12:59	საფრანგეთი შოტლანდია ინგლისი
19	მარტი	პარიზი დუბლინი	საფრანგეთი ირლანდია	25:27 42:31	ირლანდია იტალია
1	აპრილი	პარიზი დუბლინი	საფრანგეთი ირლანდია	42:31 19:23	იტალია უელსი
2	აპრილი	მარიფილდი	შოტლანდია	19:13	ინგლისი

საგურნირო ვითარება

ინგლისი	4	0	1	183 : 70	8
ირლანდია	3	0	2	168 : 133	6
საფრანგეთი	3	0	2	140 : 92	6
უელსი	3	0	2	111 : 135	6
იტალია	1	0	4	106 : 228	2
შოტლანდია	1	0	4	95 : 145	2

დანიან ჰოჯის ამ ლალომ მოგლანდიელაბი ხის კოვზისგან იხსნა, ინგლისელაბს კი ჩაგვიორობა ჩაუხარა



EXCLUSIVE

მარტის ერთ წვიმიან საღამოს, როცა ბათუმის „ბასკო“ თურქეთის ქალაქ ბურსაში იქაურ „ტაჩსფორთან“ ამხანაგურ მატჩს ამთავრებდა, დარბაზში თურქეთის ჩემპიონის, „თოფაშის“ კალათბურთელები შემოლაგდნენ. „ტაჩსფორი“ „თოფაშის“ სათადარიგო გუნდია, დარბაზი საზაროაქეთ და მალე თოფაშელებს ვარჯიში უნდა დაეწყოს.

სავარჯიშოდ გამზადებულ კალათბურთელებში რამდენიმე ნაცნობი სახე მეგნიშნე: აქეთ — ამერიკელი რიშარდ გრიფიტი და ხორვატი სლავენ რიმაცი, იქით — თურქეთის ნაკრების წევრები მეჰმეთ ოქუჩი, ასიმ ფარსი და მურათ ქონუქი... თითოეული მათგანი ევროპაში სახელდავადებული მოთამაშეა, მაგრამ იმავე „თოფაშში“ თამაშობს მათზე უფრო ძლიერი და დიდი არაა, მაინც დამინც იგი არ ჩანდა, არც დარბაზში, არც მის შემოვარენში.

„თოფაშის“ მავან მოხელეს მივმართე, სად არის — მეთქი ის კაცი. არ ვიცი, მაგრამ ვარჯიშზე აუცილებლად მოვაო, ვარჯიშის დაწყებამდე ოციოდ წუთი რჩებოდა. სანამ ის მოვა, ტანსაცმელს გამოიცვლის, თანაგუნდელებს გაესაუბრებს... ვითომ მოვასწრებ მასთან დალაპარაკებას თუ ახლავე გამოვეთხოვო ინტერვიოზე ოცნებას?

უკმაყოფილება რომ შემატყო, მოხელემ ჯიბიდან მოზილური ტელეფონი დააძრო, სადაც დარეკა, რალა ცილაპარაკა და მითხრა, ის კაცი ხუთ წუთში მოვა, აი, იქიდან შემოვა დიდი თეთრი „მერსედესით“.

ვფიქრობ, დროა, ვთქვათ ვინ არის ის კაცი, რომელთან გასაუბრებასაც ვლამობდი და რომლის საქმეში ხილვის გამო „ბასკოს“ ხელმძღვანელობამ „თოფაშის“ უფროსობას ვარჯიშზე დასწრების ნებართვა გამოსთხოვა.

თეთრგვარსადასიანი შავი კასის აბჯანი მეჯიქ ჯონსონიდან ვლადიმერ სტეფანიამდე

თეთრი „მერსედესი“ მართლაც ხუთ წუთში მოვიდა, იქიდან კი შავი დევიდ რივერსი გადმოვიდა და იქ მყოფებს (თურქებსაც და ქართველებსაც) ჯერ მოგვესალმა, მერე კი სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა (სადა ხარა, ქართველო ცრუ-ვარს კვლავებო, სოფლის პირველობას რომ მოიგებთ და მერე საკუთარი თავის გარდა ვერავის და ვერაფერს რომ ველარ ხედავთ!). რივერსი სავარჯიშოდ იყო გამომწყობილი, ამიტომ პირდაპირ საექიმო კაბინეტში მივიღე და მასაჟისტს უხმო.

დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა. მასაჟისტს ოთახში შესვლის ნება ვთხოვე, ხოლო რივერსს — ინტერვიუ. ამერიკელი კალათბურთელი დამთანხმდა, ოღონდ ჯერ მითხარი სადა ხარ და აქ რას აკეთებო. აფუსხენი, რომ ვარ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა საქართველოდან (სხვაგვარად ვერაფერს მიხვდა) და ამხანაგური თამაშების გასამართად ჩამოსულ ქართულ გუნდს ვახლავარ. მეგონა, საგანგებოდ ჩემს სანახავად ჩამოხვიდოდით ბურსაშიო, იხუმრა რივერსმა და დაამატა: იქამდე ვისაუბროთ, სანამ მასაჟისტი საქმეს არ მორჩებაო. არაა, ის თურქი ისეთი სისწრაფით ამოძრავებდა ხელებს, თვალის მიდევნება გაგიჭირდებოდა. ეტყობა, მასაჟისტი გაერკვა ვითარებაში, თვალის ჩამიკრა და მუშაობის ტემპი მკვეთრად დააგდო, რისთვისაც ჩემგან საჩუქრად საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სამკერდე ნიშანი მიიღო. რივერსმაც, დავაი, ხარაშოო, მითხრა, თან გაიცინა, ხედავ, რა კარვად ვიცი რუსულიო.

მერაბ რატიშვილი ბურსა-თბილისი

— „თოფაშში“ ვერ გავიდა ევროლიგის პლეი ოფში. რით ახსნით ამას?


— უპირველესად იმით, რომ გუნდს არ ჰქონდა ასე ხანგრძლივ ევროპულ ტურნირში ასპარეზობის გამოცდილება. მართალია, „თოფაშში“ ევროშეჯიბრებების დებიუტანტი არ არის, მაგრამ ევროლიგის პრიციპი და სპეციფიკა სულ სხვაა. მარტო კარგი თამაში არ კმარა „ბრასელონას“, „პანათინაიკოსის“ ან „რეალის“ დასამარცხებლად. ეს გუნდები ჩვენზე გამოცდილნი არიან და ევროპის საკალათბურთო წრეებში დიდი გავლენა და ნაცნობობა აქვთ. ამის გარეშე სერიოზულ წარმატებაზე ფიქრი გამორიცხულია. ისე, „თოფაშში“, როგორც გუნდი, ამათზე ნაკლები არაფრით არის.

— **სეზონის წინ რომელი ტურნირის მოგება მიგაჩნდათ უფრო მნიშვნელოვანად, ევროლიგის თუ თურქეთის ჩემპიონატის?**

— თურქეთის თასი გამოვრჩათ... პირადად მე ევროლიგის მოგება უფრო მნიშვნელოვანი მგონია, კლუბის ხელმძღვანელები კი ყველა იმ ტურნირის მოგებას ითხოვენ, რომელშიც ვმონაწილეობთ. ისინი ბევრ ფულს ხარჯავენ და მაქსიმალური შედეგის მიღება სურთ. მწვერთვლების და მოთამაშეების ხშირ ცვლასაც არ ერიდებიან. აგერ, ყოფილი მწვერთელი, იასმინ რეპემა რამდენიმე წაგების გამო დაითხოვეს.

ახლა ევროლიგაში აღარ ვართ, ამიტომ ჩვენს უმთავრეს მიზნად თურქეთის ჩემპიონობის შენარჩუნება იქცა.

— **თქვენ ოთხი ქვეყნის ჩემპიონატში გითამაშიათ, თანაც ისეთებში, ევ**



ერთ-ერთი
გზაჯვარედინი

დევიდ ბლავსი

დაიბადა 1965 წელს ჯერსი სიტიში (ნიუ ჯერსი, ამერიკა) სიმაღლე 185 სმ, გამთამაშებელი

1988 წელს დაამთავრა ნოტრ დამის უნივერსიტეტი და NBA-ს იმავე წლის დრაფტში 25-ე ნომრად აირჩია „ლოს ანჯელეს ლეიკერსმა“.

კარიერა: ლოს ანჯელეს ლეიკერსი (1988-89), ლოს ანჯელეს კლიპერსი (1989-90), ლა კროს ქეტბერლზი (კონტინენტური საკალათბურთო ასოციაცია, 1990-93), ანტიბი (საფრანგეთი, 1993-95), ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი, 1995-97), ტიმისსტეში (იტალია, 1997-98), თოფაში (თურქეთი, 1998 წლიდან დღემდე).

გუნდური ტიტულები: კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონი (1992), საფრანგეთის ჩემპიონი (1995), საბერძნეთის ჩემპიონი (1996, 1997), იტალიის თასის მფლობელი (1998), თურქეთის ჩემპიონი და თასის მფლობელი (1999), ევროლიგის ჩემპიონი (1997).

პირადი ტიტულები: კონტინენტური საკალათბურთო ასოციაციის უპირფასესი მოთამაშე (1992), „ევროსტარის“ უპირფასესი მოთამაშე (1996), ევროლიგის „ოთხთა ფინალის“ უპირფასესი მოთამაშე (1997), ევროპის საუკეთესო კალათბურთელი (1997).

**რობაში უძლიერესად რომ ითვლებ-
ბა. ცხადია, მათი ერთმანეთთან შე-
დარება არ გაგიჭირდებათ...**

— რა თქმა უნდა. ჩემი აზრით, ძირითადი პრინციპი ყველგან ერთნაირია — სისწრაფე და ძლიერი დაცვა. განსხვავებაც არის, მაგალითად, თურქეთში ძალისმიერად თამაშობენ, ბურთის მოსაპოვებლად ან მოედანზე უკეთესი ადგილის დასაკავებლად ხელჩართული ბრძოლა გიწვევს. საბერძნეთში კიდევ უფრო ძალისმიერი კალათბურთია, მსაჯები ხისტი თამაშის საშუალებას გაძლევენ, მოთამაშეთა შორის ფიზიკური კონტაქტი მეტია, აქედან გამომდინარე — დაძაბულობაც. იტალიაში უფრო შემოქმედებით კალათბურთს მისდევენ, იქაური თამაში ტექნიკურადაც და ტაქტიკურადაც გაცილებით დახვეწილია. საფრანგეთში კი ძალისმიერი კალათბურთი ნაკლებად უყვართ, უფრო ნატიფი და ტექნიკური თამაში ფასობს.

— რომელი გუნდი გახსენდებათ ყველაზე კარგად?

— ყველაზე მეტი ტიტული „ოლიმპიაკოსში“ თამაშისას მოვიპოვე, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დანარჩენი გუნდები ძლიერები არ იყვნენ. ყველა მათგანს



ლევინ რიპარსი ყველა მატჩის წინ ასე ხერხება

ჰქონდა თამაშის საკუთარი სტილი, ამბიცია და მხოლოდ ჩემპიონობისთვის იბრძოდა. ყველა გუნდში მაქვს მოგებული რაიმე ტურნირი. ყველაზე მეტად კი ის გუნდი მომწონს, სადაც ვთამაშობ — „თოფაში“.

— კი მაგრამ, „ლოს ანჯელეს ლიქერსი“?

— „ლიქერსი“ უდიდესი გუნდია. იქ თამაში რომ დავიწყებ, მეჯიქ ჯონსონის შემცვლელი ვიყავი. 1989 წელს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ფინალში ვითამაშე, „დეტროიტ პისტონზმა“ მოგვიგო.

— ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში დაბრუნებაზე არ გიფიქრობთ?

— ამ კითხვას ხუმრობით ვასუსნობ სოლმე: როცა ევროპის ყველა ქვეყანაში თამაშს მოვიღვე, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მერე დაბრუნდები. სერიოზულად კი იქ წასვლაზე არ ვფიქრობ. მართალია, მოწვევები სულ მქონდა და ახლაც მაქვს, მაგრამ სიტუაციას რეალურად ვაფასებ. ჩემთვის ევროპაში თამაში უმჯობესია.

— ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ყოფილ ცენტრს, ვლადიმერ სტეფანიას თუ იცნობთ?

— ვიცნობ, მოედანზეც შევხვედრივარ, მაგრამ მის თამაშს საგანგებოდ არ ვაკვირდებოდი.


— სტეფანია ჩემი თანამემამულეა, ქართველი. ამჟამად ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, „სიეტლ სუპერსონიქსში“ თამაშობს...

— სტეფანია რომ „სუპერსონიქსშია“, ვიცი, მაგრამ ქართველი თუ იყო, ეს არ ვიცოდი. „ოლიმპიას“ წინააღმდეგ მითამაშია... ერთი-ორჯერ „ტიმსისტემში“ ყოფნისას, მანამდე კი 1997 წელს „ოლიმპიაკოსში“ ვთამაშობდი და ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ მოვეუგეთ. იმავე წელს მე და სტეფანია „ევროსტარზე“ ერთ გუნდში მოვხვდი. საერთოდ, იმდენი თამაში მიწვევს და იმდენ კალათბურთულს ვხვდები მოედანზე, რომ ყველას დამახსოვრება შეუძლებელია. თანაც, მე გამოთამაშებელი ვარ, სტეფანია — ცენტრი. ის ჩემი უშუალო მეტოქე არ იყო და ამიტომაც არ ვუთმობდი მის თამაშს განსაკუთრებულ ყურადღებას. ისე, ძლიერი ბიჭი ყოფილა, თუკი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაშია, თანაც მეორე სეზონი.

ამის თქმა იყო და მასაქისტმა რივერსს მხარზე ხელი დაკრა, მასაყი დამთავრებულიაო. დარბაზში „თოფაშის“ მწვრთნელის სასტყენი ვაისმა — ვარჯიში იწყებოდა. რივერსი დამემშვიდობა, სადმე კიდევ გადავეყრებით ერთმანეთსო და დარბაზისკენ გასწია. „თოფაშის“ მსგავს გუნდებში ვარჯიშზე დაგვიანება არავის ეპატიება, თვით დევიდ რივერსის დონის კალათბურთელსაც კი.

1997 წელი, ლევინ რიპარსა და მისა „ოლიმპიაკოსა“ ევროლიგა მოიგეს







ბაიერნი მიუნხენი. გერმანია

მარცხნიდან დგანან: შტუფან ეფენბერგი, კარსტენ იანკერი, მარკუს ბაბელი, ალექსანდრ ციკლერი, თომას ლინკე;
სხედან: იენს იერემისი, მიხაელ ტარნაუტი, სამუელ კუფურნი, ოლივერ კანი, მარო ბასლერი, ლოთარ მათეუსი